ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, 2013 | №275 (6276) | ფასი: 30 თეთრი

აქცია
წიგნი 1 ლარად!
19 ნოემბრიდან
„ახალი თაობა“
+
კოტე მარჯანიშვილი
ფასი გაზეთთან ერთად 1 ლარი



ქართული კულტურის ოქროს ფონდი
1
უნიკალური საარქივო მასალები
კოტე მარჯანიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალებმა 300 ათასი ადამიანი გაასამართლეს“

რას აკეთებდა ალექსანდრე ქიქაიძე 2011 წლის 26 მაისის ღამეს

გვ. 2



გვ.2

## დავით საგანელიძესთან დაპირისპირების გამო დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს პარტიიდან რიცხავენ



გვ.3



## ე.წ. 26 მაისის საქმეზე ნინო ბურჯანაძეს, შალვა ოგბაიძესა და სხვა პირებს დაკითხავენ

გვ.2



## სოსო ცისკარიშვილი: „ახალ მინისტრებს გაზაფხულიდან ვიხილავთ“

გვ.2



## გელა კვაჭანტირაძე: „ინაუგურაციაზე არასაპარლამენტო ოპოზიციაც უნდა მიეწვიათ“

გვ.4

BOOM აქცია
რეალური 0%-იანი განვადება
ტექნობუმის ახალი პროექტი: „კომპიუტერი ყველა ოჯახში“
გვ.5



## შალვა ნათელაშვილი: „მარგველაშვილის ინაუგურაციას მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს“

გვ.5

## დავით ზურაბიშვილი ნიკა გვარამიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს

გვ.5



ISSN 1987-9385

2 ირაკლი ალასანია: „შეიარაღებული ძალები დეპოლიტიზებულია“

6 იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 მოსამართლე აირჩია

5 ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი 27 ნოემბრისთვის გადაიდო

6 ნოდარ ხადური: „ძალიან ბევრი დაქირილია და ბევრს კიდევ დაიჭერენ“

# სოსო ცისკარიშვილი: „ახალ მინისტრებს გაზაფხულიდან ვიხილავთ“

შორენა გონგლაძე



– ახალ პრემიერს გარკვეული დრო დასჭირდება, რომ თავად შეაფასოს ამა თუ იმ მინისტრის ეფექტურობა და ცვლილება შეიტანოს მთავრობის შემადგენლობაში – ეს განცხადება ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა გუშინ „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა. სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, მთავრობის შემადგენლობაში ახალი სახეები შესაძლოა გაზაფხულიდან ვიხილოთ. ექსპერტის თქმით, ის, რომ ღარიბაშვილი მინისტრების იგივე შემადგენლობით წარდგა, სწორი გადაწყვეტილებაა.

– მე ვთვლი, რომ იგივე მინისტრთა კაბინეტის წარდგომა იყო სწორი გადაწყვეტილება ღარიბაშვილის მხრიდან. უხერხულია, მაშინ, როცა თავად არ ხარ დამტკიცებული თანამდებობაზე, რამდენიმე მინისტრთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. მით უფრო, რომ ეს იქნებოდა ცვლილება არა ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული, არამედ დიდი ალბათობით ივანიშვილის დანაბარების შესრულება. ამიტომაც სწორი ნაბიჯი გადადგა ახალმა პრემიერმა, როდესაც იგივე მინისტრთა კაბინეტით წარდგა. ახალ პრემიერს, ალბათ, დასჭირდება გარკვეული დრო, რომ თავად შეაფასოს ეფექტურობა ამა თუ იმ მინისტრის და ცვლილება მთავრობის შემადგენლობაში. რამდენიმე თვეში ალბათ ახალი სახეები გამოჩნდებიან მთავრობაში და მე ვთვლი, რომ ეს უფრო გაზაფხულზე მოხდება. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მინისტრმა თავადვე შესთავაზოს მთავრობას გარკვეული ცვლილება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ იქნება ხელოვნური გადადგომის მცდელობა, ეს იქნება მოტივირებული ნაბიჯი იმ მინისტრის მხრიდან, რომელიც ნაკლებად კომფორტულად იგრძნობს თავს ახალი პრემიერ-მინისტრის გუნდში. მინისტრების პარტიული წარმომავლობა არ გახლავთ მთავრობაში მათი მუდმივი ყოფნის საფუძველი. ასეთი ბალანსი არ გახლავთ საზოგადოების მოთხოვნა, რომ ყველა პარტიას ორ-ორი მინისტრი ჰყავდეს მთავრობაში, – აცხადებს ცისკარიშვილი.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენილმა ირაკლი ღარიბაშვილმა კოალიცია „ქართული ოცნების“ სათავო ოფისში მთავრობის იგივე შემადგენლობა წარადგინა.

რაც შეეხება საპარლამენტო უმცირესობას, ექსპერტის განცხადებით, ამ ეტაპზე საპარლამენტო უმცირესობის ამოცანაა, გააჭიანურონ ახალი პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დამტკიცების პროცედურები ვილნიუსის სამიტის წინ. ცისკარიშვილის თქმით, ნაციონალებს ვაჭრობის გარდა სხვა პერსპექტივა არ გააჩნიათ.

– დიდი ალბათობა არსებობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ შეიცვლის ზნეს და ფერს, ამიტომაც იქნებოდა მათი მხრიდან სწრაფვა ბოიკოტისკენ, მაგრამ კალენდარი არ ემორჩილება სურვილებს. ამიტომაც დღევანდელი მთავრობის მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მალე მოხდეს ახალი შემადგენლობის დამტკიცება, ვინაიდან შემდგომი კვირის მანძილზე საეჭვო არ იყოს მთავრობის მოხვედრა ვილნიუსის სამიტზე. „ნაციონალრი მოძრაობის“ ამოცანაა, გააჭიანუროს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დამტკიცების პროცესი, ვინაიდან მათი დასწრება აუცილებელია წარმატების მოსაპოვებლად იმისთვის, რასაც ჰქვია ევროპული ინტეგრაციის პროცესი, – აცხადებს ცისკარიშვილი.

ცისკარიშვილის განცხადებით, ევროპარლამენტარებთან შეხვედრისას, მათ მიიღეს სრულიად მკაფიო გზავნილი, რომ პროკურატურამ არანაირი კითხვები არ უნდა დაუსვას სააკაშვილს.

– ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება, რომ იდენტიფიცირებულნი იყვნენ ევროპასთან, არის კარსმომდგარი რეალობა, მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიურნი და არ უნდა ვიყოთ მხოლოდ ხელისუფლების იმედად დარჩენილი ამ ვითარებაში. რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი ევროპის ქვეყნებიდან და ბოლო შეხვედრები მქონდა როგორც ევროპარლამენტის წევრებთან, ასევე ევროკომისიის მაღალი თანამდებობის პირებთან და გული დამწყდა, რომ მართლაც ვერ ამჩნევენ განსხვავებას ქალბატონ ტიმოშენკოსა და ვანო მერაბიშვილს შორის. ეს მიუთითებს მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დიპლომატიის სისუსტეზე, მაგრამ არც საზოგადოება უნდა იყოს იმის მომლოდინე, რომ ყველას ყველაფერს გააგებინებს რომელიმე სახელმწიფო მოხელე. საქართველოს მიმართ განწყობა არის პოზიტიური, მაგრამ თუ ამ შეხვედრამდე ვთვლიდი, რომ მთავარი გზავნილი ევროპისგან არის ის, რომ ხელი არ ახლოთ სააკაშვილს, თურმე ეს არ ყოფილა საკმარისი, ოფიციალური საუბრებისას, ჩვენ მივიღეთ სრულიად მკაფიო გზავნილი, რომ პროკურატურამ არანაირი კითხვა არ უნდა დაუსვას სააკაშვილს. რაზეც ექსპრომტის სახით მომიწია პასუხის გაცემა, რომ საქართველოში დაბრუნების შემდგომ ჟურნალისტებთან ერთად შევძლებდით შეგვეთავაზებინა საქართველოს მოსახლეობისთვის, რომ დაესვათ სააკაშვილისთვის კითხვები, შემდეგ ეს მრავალი ასეული კითხვა გვეთარგმნა და გაგვეგზავნა ევროპარლამენტის წევრებისათვის, რათა თავად დაინტერესებულიყვნენ, რა არის იმ განწყობების მოტივაცია, რაც სააკაშვილის მიმართ არის ჩამოყალიბებული, – აცხადებს ცისკარიშვილი.

## ე.წ. 26 მაისის საქმეზე ნინო ბურჯანაძეს, შალვა ოგბაიძესა და სხვა პირებს დაკითხავენ

თბილისის საქალაქო სასამართლოში, ე.წ 26 მაისის საქმეზე, წინასწარპატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე, პროკურორებმა დასაკითხ მოწმეთა ნუსხა წარადგინეს.

ბრალდების მხარის მოწმეთა შორის პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი“ საქართველოს ლიდერი ნინო ბურჯანაძე; პარტიის მთავარი საბჭოს წევრი შალვა ოგბაიძე, ასევე, ფოტოგრაფი გიორგი აბდალაძე, „სახალხო კრებისა“ და მედიის წარმომადგენლები არიან.

გარდა ამისა, პროცესზე მტკიცებულებათა ნუსხას დაცვის მხარეც წარადგენს, შემდეგ კი, მოსამართლე მტკიცებულებების დაშვება-არდაშვების საკითხს გადაწყვეტს.

2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ვანო მერაბიშვილს ბრალად დამამძიმებელ გარემოებებში სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტი) ედება. ვანო მერაბიშვილი იმ პერიოდში შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტს იკავებდა. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ ვანო მერაბიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაშალა. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა. აქციის მონაწილეთა ნაწილი სასტიკად იქნა ნაცემი, ნაწილი კი დააპატიმრეს.

ნიუსპრესი

## აკაკი მინაშვილი: „პაატა ზაქარეიშვილი არა რეინტეგრაციის, არამედ დეზინტეგრაციის მინისტრია“



უმცირესობის დეპუტატის აკაკი მინაშვილის შეფასებით, პაატა ზაქარეიშვილი არა რეინტეგრაციის მინისტრი, არამედ დეზინტეგრაციის მინისტრია.

მინაშვილმა აღნიშნული განცხადება ოთხი საპარლამენტო კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, სადაც დღეს მინისტრობის კანდიდატებს უსმენდნენ. კომიტეტზე სამომავლო გეგმებზე რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა პაატა ზაქარეიშვილმაც ისაუბრა, რის შემდეგაც მას დეპუტატებმა კითხვები დაუსვეს.

„რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, მინდა გითხრათ, რომ უმცირესობა ამ შემთხვევაში, მეტ კითხვას ბატონ პაატასთან არ დასვამს, იმიტომ რომ ჩვენ ვთვლით, რომ პაატა ზაქარეიშვილი არ არის რეინტეგრაციის მინისტრი, ის არის დეზინტეგრაციის მინისტრი. ის არის ადამიანი, რომელიც მთავრობაში ახმოვანებს განსაკუთრებით რუსეთის პოზიციას და ოკუპორებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილებებში შეტანას“ – განაცხადა მინაშვილმა.

მინაშვილის საპასუხოდ პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან კითხვების არდასმა კარგის ნიშანია.

„პირველ რიგში, მიხარია რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ კითხვები არ აქვს, აშკარად ჩანს, რომ ჩვენი საქმიანობა იმდენად წარმატებულია, რომ კითხვებიც კი არ აქვთ“ – განაცხადა ზაქარეიშვილმა.

რეინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრობის კანდიდატმა კონფლიქტების მოგვარებაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ კონფლიქტის მოგვარების საკითხში სახალხო დიპლომატია წარმატებით მუშაობს და არსებობს იმის საფუძველი და მოლოდინი, რომ კონფლიქტურ მხარეებთან ურთიერთობები დიალოგის ფორმატით დაიწყება.

ნიუსპრესი

## დავით ზურაბიშვილი ნიკა გვარამიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს



რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი ტელეკომპანია ,,რუსთავი 2“ დირექტორის, ნიკა გვარამიას წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს სავარაუდოდ, ხვალ შეიტანს. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, ის ნიკა გვარამიასგან ბოდიშის მოხდას 7 ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადების გამო მოითხოვს.

„მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც პოლიტიკური ოპონენტების მისამართით რადიკალური განწყობებით გამოირჩევა. პირიქით. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაშაულის დაბრალებას. მე 2007 წლის შემოდგომის მოვლენების უბრალო მონაწილე არ ვარ. ერთ-ერთი ორგანიზატორიც კი ვიყავი იმ აქციებისა, ვგეგმავდით, რა და როგორ გაგვეკეთებინა, ვის რა მოთხოვნები დაგვეყენებინა, ვის რა ელაპარაკა, სად გაგვემართა აქცია, მათ შორის 7 ნოემბერსაც. თუ გვარამია მეუბნება, რომ იმ დღეს ბადრი პატარკაციშვილი სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა, მაშინ იმ დღეს ამას მე ვაკეთებდი და ე.ი. მე ვგეგმავდი, ან ჩვენ იმდენად სულელები ვიყავით, ვერ ვხვდებოდით, რომ ვიღაც სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავდა. სახელმწიფო გადატრიალება ასეთი მარტივ არ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება უნდა ჩამოაგდო, რისთვისაც შეიარაღებული ძალა გჭირდება“, – განაცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ის გვარამიასგან სასამართლოში მისი აღნიშნული განცხადების დამამტკიცებელ, შესაბამის დოკუმენტაციას მოითხოვს. ,,წინააღმდეგ შემთხვევაში, ბოდიში უნდა მოიხადოს“– აცხადებს ზურაბიშვილი.

ნიკა გვარამიამ ,,რუსთავი 2“ გადაცემა ,,პოზიციის“ ეთერში რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ 7 ნოემბერს საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა.

მედიანიუსი

## ირაკლი ალასანია: „შეიარაღებული ძალები დეპოლიტიზებულია“



2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ შეიარაღებული ძალები დეპოლიტიზებულია. ამის შესახებ საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.

„გაერთიანებული შტაბის გენშტაბად გადაკეთებამ, ბუნებრივად, გამოიწვია საკითხის დასმა. მთავრობის დამტკიცების შემდეგ უკვე მთავრობა, პრემიერ– მინისტრი და პრეზიდენტი გამართავს კონსულტაციებს და გადაწყვეტილი იქნება აღნიშნული საკითხი. არანაირი პოლიტიზება ამ საკითხის არ მოხდება. ამ არჩევნებმა ცხადყო, რომ შეიარაღებული ძალები დეპოლიტიზებულია, თუმცა სხვადასხვა მექანიზმები დაცვის, მომავალშიც უნდა ჩაიდოს და ამაზე თქვენც, როგორც პარლამენტმა, ყურადღება უნდა მოგვაქციოთ“,-განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მედიანიუსი

## არგენტინამ, შესაძლოა, თბილისში დიპლომატიური წარმომადგენლობა გახსნას

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანია არგენტინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს თურქეთში ხუან ხოსე არკურს შეხვდა. ელჩი საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციის ცერემონიაზე დასასწრებად ეწვია.

შეხვედრაზე საქართველოსა და არგენტინას შორის ბოლო წლებში სხვადასხვა მიმართულებით განვითარებული ურთიერთობების დადებითი დინამიკა განიხილეს, აღინიშნა არგენტინაში საქართველოს საელჩოს გახსნის მნიშვნელობა და იმედი გამოითქვა, რომ მომავალში არგენტინაც გახსნის საკუთარ დიპლომატიურ წარმომადგენლობას თბილისში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ არგენტინის ელჩს მადლობა გადაუხადა საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიაზე დასწრებისთვის.

ნიუსპრესი

## ელენე თევდორაძე: „შეწყალების კომისიის შემადგენლობა გადახალისდება“



შეწყალების კომისიის წევრთა შემადგენლობა უახლოეს მომავალში შეიცვლება – ამის შესახებ კომისიის თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ამჟამად, კომისიაში ექვსკაციანი შემადგენლობა რჩება, დანარჩენებმა კი, მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადის დასრულების შემდეგ, კომისია ავტომატურად დატოვეს.

თევდორაძის თქმით, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულ შეწყალებას კომისია ვერ განახორციელებს, რადგან, მანამდე ახალი დებულების დამტკიცება ვერ მოხერხდება.

როგორც კომისიის თავმჯდომარე განმარტავს, რომ ამ დროისთვის კომისიაში შეწყალების თხოვნით, პატიმართა 600-მდე განაცხადია შესული. თევდორაძე ვარაუდობს, რომ პატიმართა შეწყალება სავარაუდოდ, ახალი წლის დღეებში განორციელდება.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „ნაციონალებმა 300 ათასი ადამიანი გაასამართლეს“

## რას აკეთებდა ალექსანდრე ჭიკაიძე 2011 წლის 26 მაისის ღამეს

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობა მინისტრთა კაბინეტის განახლებულ შემადგენლობას მხარს არ დაუჭერს. ამის მიუხედავად, ნაციონალებმა გუშინ მომავალ მინისტრებს სისხლი გაუშრეს და მათი მოსმენა უმცირესობის სხდომაზეც მოისურვეს. ნაცმოძრის განსაკუთრებულ სამიზნეს გუშინ ირაკლი ღარიბაშვილი და ალექსანდრე ჭიკაიძე წარმოადგენდნენ.**

ნაციონალებთან პაექრობაში ღარიბაშვილს საკმარისი გამოცდილება აქვს მიღებული. ამიტომ ის კარგად იგერიებდა მათ შეტევებს. არსენალში მან ქიზიყური იუმორიც ჩართო და ერი თავისი კომენტარებით გაამხიარულა. მომავალი შს მინისტრი ჭიკაიძე კი ძირითადად დუმილის უფლებას იყენებდა. მის ნაცვლად ნაციონალებს პრემიერობის კანდიდატი პასუხობდა.

სიტყვაძუნწობის გამო ჩიორა თაქთაქიშვილმა შინაგან საქმეთა ალექსანდრე ჭიკაიძეს ოროსანი უწოდა. უმცირესობის წევრებმა უკმაყოფილება მას შემდეგ გამოთქვეს, რაც ჭიკაიძემ დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემა დაასრულა.

— ოროსნობა ჰქვია ამას, როდესაც პასუხს არ სცემენ დასმულ კითხვას, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, საპროცედურო საკითხთა და წესებისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე დეპუტატებმა შს მინისტრობის კანდიდატს დიდი ყურადღებით მოუსმინეს.

მდუმარე ალექსანდრემ შინაგან საქმეთა სამინისტროს გეგმებსა და პრიორიტეტებზე ისაუბრა.

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით, მადლობა გადავუხადო ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ნდობისათვის, რაც მან გამოხატა ჩემი კანდიდატურის წარდგენისათვის. მე ვამაყობ იმით, რომ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად მნიშვნელოვანი რეფორმები განვახორციელეთ და იგი გავხადეთ დეპოლიტიზებული. ჩვენთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო კრიმინალთან ბრძოლა, რასაც თავი კარგად გავართვით, იმის მიუხედავად, რომ საპატიმროებიდან 17 ათასამდე პირი იქნა გათავისუფლებული. მთელ ჩვენს შესაძლებლობას გამოვიყენებ იმისთვის, რომ ღირსეულად გავაგრძელო ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის დაწყებული შს სამინისტროს რეფორმების კურსი და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ქვეყანა გახდეს ცივილიზებული სამყაროს სრულფასოვანი წევრი. დღეს სამინისტრო პოლიტიკური წნეხისგან თავისუფალი და საზოგადოებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, — აღნიშნა ჭიკაიძემ.

ჩიორა თაქთაქიშვილის გარდა, ჭიკაიძის მდუმარებით უკმაყოფილო დარჩა პავლე კუბლაშვილიც. მისი განცხადებით, ჭიკაიძემ კომიტეტის სხდომაზე საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან არც ერთ საკითხზე არ გაამახვილა ყურადღება:

— ალექსანდრე ჭიკაიძემ არც ერთ კითხვაზე არ გასცა პასუხი, ამიტომ უმრავლესობის წევრებიც უნდა დაფიქრდნენ, რამდენად სწორია ამ კანდიდატურის წარმოდგენა. ის შეიძლება იყოს კარგი პოლიციელი, მაგრამ კარგი შინაგან საქმეთა მინისტრი — ეს ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ჭიკაიძემ სიტყვით გამოსვლისას სამჯერ გადაუხადა მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს, მაშინ, როცა მას არაფერი უთქვამს მის ყოფილ საქმიანობაზე. სწორედ ამაზე გვქონდა ჩვენ შეკითხვები. ჩვენი ოპონენტები მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ დეპოლიტიზაცია მოხდა პოლიციის. საინტერესო იქნებოდა მინისტრობის კანდიდატის პასუხი კითხვაზე, იყო თუ არა ის პოლიტიზებული, როდესაც პოლიციის რიგებში მსახურობდა 2008-2012 წლებში, მისი საქმიანობა უკავშირდებოდა თუ არა რაიმე უკანონო ბრძანების შესრულებას ან გაცემას, თუმცა მან ამ შეკითხვებს უბრალოდ პასუხი არ გასცა, — აღნიშნა კუბლაშვილმა.



ნაციონალების განცხადებით, მათ ყველაზე მეტი პრეტენზია და შენიშვნები შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატ ალექსანდრე ჭიკაიძესთან აქვთ. როგორც მათ განაცხადეს, ჭიკაიძე, შესაძლოა, კარგი პოლიციელი იყო, თუმცა, რამდენად ძლიერი მინისტრი იქნება, საკამათო საკითხია.

— ყველაზე სუსტი რგოლი წარმოდგენილ შემადგენლობაში შინაგან საქმეთა მინისტრობის კანდიდატურა იყო. ერთი მხრივ, ეს გასაგებია, იმიტომ, რომ ის არ არის პოლიტიკოსი, მას დაავალეს მინისტრობა და, შესაბამისად, მისთვის რთულია ამ პოლიტიკურ გარემოში ახალი პოლიტიკური ხედვების ჩამოყალიბება. მოდით, შევთანხმდეთ, რომ ამ ადამიანს სამინისტროს მომავალ განვითარებასთან დაკავშირებით ხედვები არ გააჩნია, ის იქნება, უბრალოდ, შემსრულებელი კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას, — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა.

ნაციონალების შენიშვნა არ გაჰკვირვებია საპარლამენტო უმრავლესობას. უმრავლესობის ლიდერის თქმით, ნაციონალებისთვის მისაღები ვანო მერაბიშვილი იყო.

— ეს ადამიანები არიან აღზრდილები თუ გამოყვანილები ისეთ პოლიტიკოსებად, რომელთა იდეალური მინისტრი ვანო მერაბიშვილია. მათთვის ერთადერთი ხატი და საფიცარი იყო ქვეყნის „ხერხემალი“ ვანო მერაბიშვილი. ამ ადამიანებს, რომლებსაც მზე და მთვარე მერაბიშვილზე ამოსდიოდათ, რატომ მოეწონებათ მისი ანტიპოდი ჭიკაიძე? ასე რომ, ნუ გიკვირთ, — განაცხადა დავით საგანელიძემ.

განსაკუთრებული შეტევა ჭიკაიძეზე უმცირესობის სხდომაზე მიიტანეს, თუმცა აქაც არაფერი გამოუვიდათ. ღარიბაშვილი მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

ნაცმოძი დაინტერესდა, რას აკეთებდა მდუმარე ალექსანდრე 26 მაისის ღამეს. ცნობისმოყვარე ნაციონალებს მის მაგივრად პასუხი მომავალმა პრემიერმა გასცა.

ღარიბაშვილი ადასტურებს, რომ 26 მაისის მიტინგის დაშლის დროს ჭიკაიძე შსს-ში მუშაობდა.

— ლექსო მუშაობდა სამინისტროში და მრავალი წელია მუშაობს, ის ასრულებდა თავის მოვალეობას 26 მაისს, აქ დაფარული არაფერი არ არის, ის არ იყო დამარბეველი, ის ასრულებდა თავის მოვალეობას. მე ვერ გავიგე შეკითხვის არსი, თუკი უმცირესობა მიანიშნებს, რომ ჭიკაიძე მონაწილეობდა მიტინგის დარბევაში, ეს ბრალდებაა და თუ იმის თქმა გსურთ, რომ რუსთაველის გამზირზე იყო ლექსო, ეს სხვა კითხვაა. გამოძიებას შეკითხვები აქვს ვანო მერაბიშვილთან, რომელმაც გასცა აქციის დაშლის ბრძანება და არა კონკრეტულ პოლიციელებთან, რომლებიც ბრძანებას ასრულებდნენ. მე გიდასტურებთ, რომ ის (ჭიკაიძე) მუშაობდა იმ დღეს პოლიციაში, 26-შიც და 27-შიც, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, ვანო მერაბიშვილმა გასცა აქციის დაშლის ბრძანება და გამოძიება გაარკვევს მისი ბრალეულობის საკითხს.

ნაციონალებმა ამ კითხვაზე პასუხი ალექსანდრე ჭიკაიძისგანაც მოითხოვეს, რაზეც მან განაცხადა, რომ ღარიბაშვილმა უკვე გასცა ამ კითხვას პასუხი.

დეპუტატებმა ჭიკაიძეს ასევე ჰკითხეს, იღებდა თუ არა ის პოლიტიკურ დაკვეთებსა და უკანონო ბრძანებებს წინა ხელისუფლების დროს მინისტრისგან, რაზეც ჭიკაიძემ განაცხადა, რომ მას უკანონო ბრძანებები არ შეუსრულებია.

განსაკუთრებით საინტერესო გაბაასება ღარიბაშვილს ირმა ნადირაშვილთან ჰქონდა. ეს უკანასკნელი მომავალი პრემიერის ნათესავმცოდნეა. ალბათ, გახსოვთ ღარიბაშვილის პირველი შეხვედრა ნაციონალებთან. ეს რამდენიმე თვის წინ იყო. მაშინ ნადირაშვილმა ჯერ კიდევ შს მინისტრს უსაყვედურა, თანამდებობებზე სულ შენიანებს, ცოლის ნათესავებს ნიშნავო.

ეს ბრალდება ღარიბაშვილმა არ მიიღო და ნაციონალებს უთხრა, რომ კახური გაგებით ცოლის ნათესავი ნათესავი არ არის. ახლახან კი ღარიბაშვილმა „აღმოაჩინა“, რომ ირმა ნადირაშვილი მისი ნათესავია.

— ქალბატონო ირმა, მე აღმოვაჩინე, რომ თქვენ ყოფილხართ ჩემი ნათესავი, „ასე რომ, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ან თქვენ უნდა დატოვოთ პარლამენტი, ან მე“ — ასე მიმართა პრემიერმინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ღარიბაშვილმა დეპუტატ ირმა ნადირაშვილს საპარლამენტო უმცირესობასთან შეხვედრის დაწყების წინ.

ნადირაშვილს ახალი აღმოჩენა უპასუხოდ არ დაუტოვებია.

— იქნებ პირდაპირ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი შემომთავაზოთ, რადგან ნათესავები ვართ?! — ჩაეძია ნადირაშვილი.

ღარიბაშვილი არ დაიბნა და აღნიშნა, რომ იგი ამ საკითხზე ფიქრობდა, თუმცა საბოლოოდ ლექსო ჭიკაიძეზე ჩამოყალიბდა, რომელიც უფრო ახლო ნათესავია.

გიორგი კანდელაკმა საზოგადოებრივ მაუწყებელში შსს-ს წარმომადგენლის, ე.წ. ოდეერის, ირაკლი ციბაძის მუდმივად ყოფნის გამო გაინერვიულა თავი და ირაკლი ღარიბაშვილსაც ჩაეძია. ამ კითხვამ მომავალი პრემიერი გააბრაზა.

— ნამდვილად არ ვიცნობ მას. მინდა, კიდევ ერთხელ ვაჩვენო საზოგადოებას, როგორი უსამართლოები ხართ თქვენ. წლების განმავლობაში კარგად იცოდით, რომელი ოდეერი რომელ სამინისტროში იყო, რას საქმიანობდა, რა დავალებებს ასრულებდა და ა.შ. არასოდეს გაგჩენიათ შეკითხვა და ვერც გაბედავდით, ჩემი წინამორბედისთვის გეკითხათ, თუ რატომ არსებობს სხვადასხვა სამინისტროში ოდეერები. არ გაგცემთ პასუხს ამ შეკითხვაზე. არ მივიღებ ამ შეკითხვას თქვენგან, შეგეძლოთ, ეს 9 წლის განმავლობაში გეკითხათ, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

გივი თარგამაძემ კითხვები სპეცდანიშნულების რაზმების, კერძოდ, კარალეთის რაზმის განახევრებაზე დასვა.

— თქვენ მიერ ნახსენები სპეცდანიშნულების რაზმების ბაზები იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში, მე ვიყავი ის მინისტრი, რომელმაც თითქმის ყველა ბაზაზე დავიწყე რენოვაცია და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. თქვენი შეკითხვა იმდენად უხერხულობას მიქმნის, რომ მე მომიწევს ჩემს გაკეთებულ საქმეებზე საუბარი, მაგრამ თქვენ იმდენად ოსტატურად ცდილობთ, საზოგადოება შეიყვანოთ შეცდომაში... თქვენ იტყუებით, როდესაც ამბობთ, რომ მე სპეცდანიშნულების რაზმების მიმართ მქონდა განსხვავებული პოლიტიკა ან აგრესია და ა.შ. სამინისტროში ყველაზე მეტად მეგობრული დამოკიდებულება მქონდა სპეცრაზმელების მიმართ. ამას ნებისმიერი სპეცრაზმელი დაგიდასტურებთ. თარგამაძე უსირცხვილოდ ტყუის. ვაკეთე ისეთი რაღაცები, რაც თქვენ 9 წლის განმავლობაში არ გაგიკეთებიათ. ამუნიციაც მე შევიძინე, იარაღებიც მე შევიძინე, ძალიან ბევრი გავაკეთე, რაც თქვენ 9 წლის განმავლობაში არ გაგიკეთებიათ, მაგრამ თქვენ უსირცხვილოდ გამოდიხართ და მეუბნებით, რომ მე თურმე სპეცდანიშნულების რაზმებს ვებრძვი. ეს არის ცინიზმი, ეს არის ტყუილი. თქვენ წარმოადგენთ წინა ხელისუფლებას, რომელმაც დააპატიმრა ჩემი ოჯახის წევრი, რომელიც უკანონოდ ამყოფეთ ციხეში. ჩემი ოჯახის წევრის მსგავსად, თქვენ გაასამართლეთ 300 ათასი ადამიანი 9 წლის განმავლობაში, თქვენი რეჟიმი იყო რაღაც ნეოფაშისტური წარმონაქმნი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმინისტრობის კანდიდატის პასუხს უმცირესობის წევრის გია ბარამიძის გაღიზიანება მოჰყვა. მან ღარიბაშვილს „უნამუსო ტყუილი“ დასდო ბრალად. ბარამიძემ ღარიბაშვილს მეტი პატივისცემისკენ მოუწოდა და შეახსენა, რომ ის პარლამენტში იმყოფებოდა და არა „ბალაგანში“.

ბარამიძეს ღარიბაშვილმა უპასუხა, რომელმაც დეპუტატს შეახსენა, რომ კარგი იქნებოდა, მსგავსი კითხვები მიხეილ სააკაშვილისთვის დაესვათ.

— მე მაქვს მაგალითები, რაც შემიძლია მოვიყვანო, თუ როგორ შევეწინააღმდეგე ჩემს პრეზიდენტს და როდის. ახლა თქვენ თქვით, რამდენჯერ შეეწინააღმდეგეთ ბიძინა ივანიშვილს. გამოდიხართ ახალგაზრდა კაცი და ლაპარაკობთ ტყუილებს, ყველამ კარგად იცის, რა ქვეყანა ჩავიბარეთ და რა ქვეყანა დაგიტოვეთ თქვენ და ახლა რას უშვრებით ამ ქვეყანას, — განაცხადა გია ბარამიძემ.

ბოლო დღეებში გოგა ხაჩიძე აქტიურად ითხოვდა ღარიბაშვილის დიპლომს. ამიტომაც მთელი ერი ხაჩიძე-ღარიბაშვილის დებატებს ელოდა. და ისიც შედგა. დიალოგში პავლე კუბლაშვილიც ჩაერთო.

გოგა ხაჩიძე: მომავალი პრემიერის რანგში, მგონი, თქვენი კოლეგები ცოტა შეშფოთებით მოგჩერებიან.

ირაკლი ღარიბაშვილი: რომელია შეშფოთებული, ბატონო გოგა? შეხედეთ. ეს თქვენ ხართ შეშფოთებული...

გოგა ხაჩიძე: ფაქტობრივად, ახლა გაცინების ბრძანება გაეცით და ვერც მიხვდით...

ირაკლი ღარიბაშვილი: თქვენ გააცინეთ, ყოჩაღ, ბრავო...

გოგა ხაჩიძე: მე მაინტერესებს შეფასება, რაიმე ნაკლი თუ გაგაჩნდათ შს მინისტრობის დროს, რაიმე ჩავარდნა ოდნავი მაინც, თუ ასეთი გაქვთ. თუ ასე იდეალურად დაასრულებდით შს მინისტრობას? გვაინტერესებს თქვენი ნაკლი და სორბონის დიპლომზე მერე ცალკე დავილაპარაკოთ, სავარაუდოდ, სკაიპში.

პავლე კუბლაშვილი: ჩავაზუსტებ, რა?! ველოსიპედი ახსენეთ და ბოდიში ამ სიტყვაზე, „გრეხია“ ველოსიპედით სიარული?

გოგა ხაჩიძე: არა, უფროსის „შუტკაა“ და იმეორებენ...

ირაკლი ღარიბაშვილი გოგა ხაჩიძეს: მოდი აქ. არ გინდა?

გოგა ხაჩიძე: არა.

ირაკლი ღარიბაშვილი: მაშინ გარეთ გავიდეთ... მგონი, ბატონმა გოგამ იხუმრა, მართლა მკითხეთ, ნაკლი მაქვს თუ არა? მე თქვენზე მეტი ნაკლი მაქვს...

გოგა ხაჩიძე: დაგიზუსტებთ, ბატონო ირაკლი, მუშაობის დროს თუ გქონდათ რაიმე ჩავარდნა?

ირაკლი ღარიბაშვილი: არავითარი ჩავარდნა არ მქონია.

პრემიერობის კანდიდატის პასუხებით ნაცმოძი უკმაყოფილო დარჩა და კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ღარიბაშვილსა და მის გუნდს მხარს არ დაუჭერენ.

# დავით საგანელიძესთან დაპირისპირების გამო დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს პარტიიდან რიცხავენ

შორენა მარსაგიშვილი

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ მალე, შესაძლოა, დიდი არეულობა დაიწყოს. კი ამტკიცებენ, რომ ერთ და მყარ გუნდს წარმოადგენენ, მაგრამ მათ რიგებში უკვე დაიწყო რღვევა. ექსპერტების განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ეს პროცესი უფრო თვალშისაცემი გახდება. უახლოეს მომავალში კოალიციის რიგებიდან დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს გარიცხავენ.

დავით ლორთქიფანიძე უკვე კარგა ხანია, რაც უმრავლესობის ლიდერთან არის დაპირისპირებული. დავით საგანელიძის ქმედებები სხვა მეოცნებე დეპუტატებსაც ნერვებს უშლის, თუმცა ისინი უმრავლესობის ლიდერთან ღიად დაპირისპირებას ჯერ ვერ ბედავენ, დავით ლორთქიფანიძეს კი თავისი სეხნიის კრიტიკა კარგა ხანია დაწყებული აქვს.

პრესაში არაერთხელ გამოქვეყნდა მისი ხმაურიანი ინტერვიუები. კოლეგის შენიშვნები კარგა ხანს ითმინა ლიდერმა, ბოლოს, ეტყობა, შელონდა და ლორთქიფანიძის ბედიც გადაწყდა.

16 ნოემბერს საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა გაიმართა. სხდომას ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა. შეხვედრა დახურულ რეჟიმში წარიმართა. თვითმხილველების თქმით, შეხვედრაზე ძალიან სერიოზულ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი. საქმე ლამის ხელის გარტყმამდეც კი მივიდა. სერიოზულად იკამათეს ერთმანეთთან საგანელიძემ და ლორთქიფანიძემ.

საქმე კარგად არც თიანეთის მაჟორიტარ დეპუტატ ზაქარია ქუცნაშვილს აქვს. 16 ნოემბრამდე მას საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი ეკავა. იმ ხმაურიან სხდომაზე ის შეცვალეს. პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, ფრაქციის თავ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# გელა კვაჭანტირაძე: „ინაუგურაციაზე არასაპარლამენტო ოპოზიციას უნდა მიეწვიათ“

თამარ ნინიძე

### ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***— საზოგადოების ერთმა ნაწილმა გააკრიტიკა მარგველაშვილის საინაუგურაციო სიტყვა, რაიმე ახალს ელოდებოდა საზოგადოება მისგან?***

— მოკრძალებულად ჩატარდა, ეს კარგი იყო, მინუსად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ხალხის ჩართულობა არ იყო. ასეთ სიტუაციაში მაინც დადებითია, რომ მოკრძალებულად და კომპაქტურ ფორმატში ჩატარდა ეს ინაუგურაცია. ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა და პრეზიდენტი უკვე აღარ არის პირველი პირი სახელმწიფოში. ვერავინ დააკნინებს პრეზიდენტის როლს, მას ისევ აქვს დიდი ფუნქციები, მაგრამ სამართლებრივად ეს განსხვავებული რეგისტრის მოვლენა იყო. მარგველაშვილის გამოსვლას რაც შეეხება, ძალიან გაწონასწორებული იყო და ასახული ყველა პრიორიტეტი, ყველა ის აქცენტი და ღირებულება, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც. საზოგადოება ელოდა მარგველაშვილის დამოკიდებულებას კოაბიტაციის მიმართ, პრინციპულად და დიპლომატიურად იყო გაცხადებული დამოკიდებულება როგორც ძველი ხელისუფლების, ასევე ზოგადად ოპოზიციის, ადამიანის უფლებების მიმართ. პრობლემური საზოგადოებრივი ჯგუფების, მაგალითად, დევნილების მიმართ ფორმულა ასეთი იყო: ვიქნებით შემწყნარებელი, მაგრამ პრინციპული, კანონის უზენაესობა იქნება დაცული და არავის ექნება ალიბი. აქცენტი გაკეთდა არა მარტო საერთაშორისო ღირებულებებზე, არამედ ჩვენს ეროვნულ ინტერესებსა და ღირებულებებზეც. რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებაზე იყო აქცენტი გაკეთებული, მაგრამ საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციის არმიწვევამ გაკვირვება გამოიწვია თავად ამ ოპოზიციაში, ასევე საზოგადოებაში. რატომ არ იყო მიწვეული არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

— პროტოკოლის დეტალები ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, რომ მიწვეული ყოფილიყო. პრეზიდენტები იყვნენ მიწვეული, მაგრამ სააკაშვილმა განაცხადა, რომ არ დაესწრებოდა ინაუგურაციას, მაგრამ სერიოზული მიზეზი ვერ დაასახელა, რატომ არ დაესწრებოდა. თუკი მას ჰქონდა რაიმე არგუმენტი, ეს არადამაჯერებელია, რაკი მოხდა იმის პრეცედენტი, რომ მშვიდობიანად მოხდა ძალაუფლების გადაცემა, ამის სიმბოლო უნდა ყოფილიყო სააკაშვილის დასწრება. სააკაშვილი მთელ მსოფლიოში დადიოდა და აცხადებდა, რომ მშვიდობიანად გადასცა ძალაუფლება და ეს მისი დამსახურება იყო. საქმით კი აჩვენა, რომ ის ზოგადად ამ



ინსტიტუტის პატივისმცემელი არ არის. მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომ ავირჩიეთ ახალი პრეზიდენტი, სააკაშვილის სიტყვა და საქმე ერთმანეთს სცილდება ეს მან იმით დაადასტურა, რომ ინაუგურაციას არ დაესწრო. რაც შეეხება არასაპარლამენტო ოპოზიციის მიწვევას, ვერ გეტყვით, რატომ არ დაეგზავნათ მოსაწვევები. კარგი იქნებოდა, მოეწვიათ არა იმის გათვალისწინებით, ვინ რამდენი პროცენტი მიიღო, არამედ იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიციური სპექტრი პარლამენტს გარეთაც არის და ეს უნდა იყოს დაფიქსირებული. შესაძლოა ადგილები იყო შეზღუდული, მაგრამ ალბათ ეს მაინც შეცდომა იყო.

***— არასაპარლამენტო ოპოზიციის არმიწვევა ხომ არ არის ივანიშვილის კურსის გაგრძელება, მისი პირადი ანტიპათიის დემონსტრირება, რომ შუა უნდა გაიკრიფოს და არ ცნობს ოპოზიციის ამ ნაწილს?***

— მახსოვს ეს განცხადება, ზოგადად ამ განცხადებას არ ვეთანხმები, მესამე გზას მივიჩნევ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად პოლიტიკაში. წინასაარჩევნო პერიოდში შეიძლება შუის გაკრეფა ყოფილიყო ბრძოლის მეთოდი, საბრძოლო ტაქტიკის გამოვლენა, მაგრამ მარგველაშვილის გამოსვლაში მნიშვნელოვანი გზავნილი იყო, რომ ის ხელს შეუწყობს ეროვნული თანხმობის მიღწევას. ეს პრობლემატური საკითხია, თანამშრომლობა უნდა იყოს როგორც საპარლამენტო ოპოზიციასთან, ასევე არასაპარლამენტო პარტიებთან. იმედი მაქვს, რომ რეალური პოლიტიკა გაგრძელდება. ამიტომ მარგველაშვილის ამ პათოსს არ ეთანხმება არასაპარლამენტო ოპოზიციის არმიწვევა ინაუგურაციაზე. ალბათ თავად მარგველაშვილი არ მონაწილეობდა სტუმრების მოწვევის საკითხში, მაგრამ ამას ალბათ აკეთებდა კოალიციის საბჭო.

***— იყო მოსაზრება, რომ მოწვეულ სტუმართა შემადგენლობა იყო მოკრძალებული. წამყვანი ევროპული ქვეყნებიდან წარმომადგენლობითი დელეგაციები არ იყო. ამას რითი ხსნით?***

— მსმენია, რომ გარკვეული კითხვები იყო. საკმაოდ ნორმალური იყო წარმომადგენლობა, ფორმატი იყო ასეთი, ახალი ხელისუფლება ცდილობდა, გამოეკვეთა თავისი პოლიტიკური კურსი, რომ ევროინტეგრაციის კურსით მიდის და ამასთანავე ცდილობს, მოაგვაროს ურთიერთობები რუსეთთან. ჩვენ მიმართ საერთაშორისო საზოგადოებას გარკვეული სიფრთხილე ჰქონდა, არა მარტო ისინი არ ჩამოვიდნენ, ჩვენც არ ჩავსულვართ. გახსოვთ ალბათ, პრემიერ-მინისტრს არ ჰქონია ვიზიტები, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრი ვიზიტებს ახორციელებდა. გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პრეზიდენტი აღარ არის პირველი პირი. სააკაშვილი დადიოდა ევროპაში და ყველგან ამბობდა, რომ მოვიდა ძველი და რეგრესული ხელისუფლება, შავ პიარს აგორებდა ამ ხელისუფლების მიმართ. ევროპის სახალხო პარტიის რეაქციებიც გახსოვთ. ამბობდნენ, რომ პოლიტიკური მოტივით არის დევნა, ლობისტები ჰყავდა დაქირავებული წინა ხელისუფლებას. მაინც მიმაჩნია, რომ ყველაფერი ნორმალურად იყო.

***— ლიტვის პრეზიდენტი იყო ჩამოსული, გარდა იმისა, რომ ეს იყო მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტის ვიზიტი, კიდევ შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ვილნიუსის სამიტის წინ, ეს ვიზიტი პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა, რომ საქართველოს არ გადაეხვია ევროპული კურსიდან?***

— მიმაჩნია, რომ ლიტვის პრეზიდენტის ჩამოსვლა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ეს ბევრს წარმოუდგენია. ბალტიისპირელები გზის გამკვალავები არიან ევროპაში პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის. მათგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ ყველა დონეზე. უპირობო მეგობრობის დაფიქსირება იყო.

***— სავარაუდოდ, უკრაინა ხელს ვერ მოაწერს ახლა ამ ხელშეკრულებას. ალბათ ისევ ტიმოშენკოს ფაქტორის გამო.***

— ამასთან დაკავშირებით საინტერესო სიტუაცია შეიქმნა, არის მოსაზრება, როგორ შეიძლება სასწორზე ერთად დაიდოს ტიმოშენკოს საკითხი და ქვეყნებს შორის გასაფორმებელი მნიშვნელოვანი ხელშეკრულება. ევროპა აფრთხილებს უკრაინას, რომ დაიცვას ადამიანის უფლებები, აქ მარტო ტიმოშენკოზე არ არის საუბარი, ზოგადად სთხოვენ უკრაინას, დაიცვას ეს პრინციპები. იმედი მაქვს, ყველაფერი ნორმალურად იქნება, ევროპას უკრაინასთან ურთიერთობა სჭირდება, ეს არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო.

***— საქართველოსთან დაკავშირებით ხომ არ განმეორდება იგივე პრობლემები?***

— ამის საფრთხეს ვერ ვხედავ, სტანდარტი ერთია, ადამიანის უფლებები უნდა დაიცვას ყველა ქვეყანამ. სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა პირებისა, ვინც კანონს არღვევდა, აი, ესეც მნიშვნელოვანია.

***— ევროპა რეაგირებდა თუ არა სააკაშვილის მმართველობის დროს მომხდარ დანაშაულზე, მაგალითად, ადამიანის უფლებების დარღვევაზე, კერძო საკუთრების ხელყოფის ფაქტებზე და თუ რეაგირებდა, ამის შესახებ ჩვენამდე რატომ არ მოდიოდა ასეთი მკაცრი გზავნილები?***

— პოლიტიკური ინსტრუმენტები არ ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ პირდაპირ გამოავლინოს და დასაჯოს დამნაშავეები. უტყუარი ფაქტების საფუძველზე აკეთებს პოლიტიკოსი განცხადებას, მაგრამ მაინც იყო გაფრთხილებები. „ჰუმან რაიტ ვოჩს“ ჰქონდა გაფრთხილებები და სერიოზულ დარღვევებზე იყო საუბარი. გვახსოვს ტალიავინის კომისიის დასკვნა ომთან დაკავშირებით. ეს იყო ის გაფრთხილებები, რაც პოლიტიკურ ინსტრუმენტებში შედის.

***— გახსოვთ ალბათ, სააკაშვილი თავისი პრეზიდენტობის პირველ წლებში აკრიტიკებდა შევარდნაძეს მისი ძვირადღირებული ვიზიტების გამო სხვადასხვა ქვეყნებში, რომ შევარდნაძე მრავალრიცხოვანი დელეგაციებით ჩადიოდა სხვადასხვა ქვეყანაში. სააკაშვილი პირველ ხანს გვპირდებოდა, რომ ის მოკრძალებულად იმოგზაურებდა, მაგრამ წლების შემდეგ დავინახეთ, როგორ დაიწყო მან არამიზნობრივად ბიუჯეტის თანხების ხარჯვა. ხომ არ არის საშიშროება, რომ ახალი პრეზიდენტის შემთხვევაშიც განმეორდეს იგივე?***

— 2003 წელს სააკაშვილი თანამდებობის პირების სახლების ფოტოებს რომ აქვეყნებდა, გახსოვთ. რატომ დასეირნობენ მინისტრები სხვადასხვა ქვეყნებშიო და გარკვეული დროის შემდეგ თავადაც იგივე გააკეთა. ეს იყო სააკაშვილისთვის მხოლოდ პიარი. ამის საფრთხე ყოველთვის არის ნებისმიერი ხელისუფლების დროს. ეს საფრთხე არის ყოველთვის იქ, სადაც არ არის საზოგადოებრივი კონტროლი. ეს იმისთვის არის აუცილებელი, რომ მთავრობამ იგრძნოს რეჟიმი, რომელსაც ჰქვია მოთხოვნა–მიწოდება. დაპირების შესრულება. ძალიან ვაფასებ საგამოძიებო ჟურნალისტიკას, სერიოზული ინსტრუმენტია კონტროლისა. თუ მოიკოჭლებს კოტროლის მექანიზმები, ძალიან კარგი პოლიტიკოსიც კი შეიძლება გადაეშვას ისეთ ცდომილებებში, რომ მისგან ერთი ნაბიჯი იყოს კრიმინალამდე.

# დავით საგანელიძესთან დაპირისპირების გამო დეპუტატ დავით ლორთქიფანიძეს პარტიიდან რიცხავენ

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მჯდომარედ გია ვოლსკი დაინიშნა. ქუცნაშვილს კომენტარი არ გაუკეთებია. მასთან დაკავშირებით დეტალები მალე გაირკვევა. დავით ლორთქიფანიძეს კი უახლოეს მომავალში გამოუტანენ განაჩენს.

განაჩენის შესახებ გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმაც ისაუბრა. დავით საგანელიძემ დაადასტურა, რომ დეპუტატის გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში დგას. მისივე განცხადებით, დავით ლორთქიფანიძის საკითხი პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს უახლოეს სხდომაზე განხილვის საგანი იქნება.

— ფრაქციის სხდომაზე ნამდვილად ვიმსჯელეთ საკითხზე, რომელიც უკავშირდებოდა დავით ლორთქიფანიძის გარკვეულ ჩარევას ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებში. მან ამაზე გარკვეული შენიშვნები მიიღო. გარდა ამისა, განვიხილეთ თემა, რომელიც საარჩევნო შტაბის საქმიანობას ეხებოდა — დავალებები, თხოვნა, რაც ლორთქიფანიძეს შტაბიდან მიეცა, მან თავისებურად შეასრულა, შტაბის გადაწყვეტილებებს არ დაემორჩილა. თემა ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ და მე, როგორც შტაბის ხელმძღვანელმა, ამაზე პრეტენზიები გამოვთქვი. ასევე გამოითქვა გარკვეული შენიშვნები და პრეტენზიები, რომ ის აქტიურად ერევა ვანის რაიონის თვითმმართველობის საქმიანობაში, რაც დეპუტატის მხრიდან სწორი და მართებული საქციელი არ არის. ეს შენიშვნები მან მიიღო. გადაწყვეტილებას მისი პარტიაში ყოფნა-არყოფნის შესახებ ფრაქცია ვერ მიიღებს, ამაზე პარტიის პოლიტსაბჭომ უნდა იმსჯელოს. მოგეხსენებათ, პარტია 24 ნოემბერს ყრილობას მართავს, სადაც ახალი პოლიტსაბჭო შეიქმნება და აღნიშნულ თემას სწორედ პოლიტსაბჭო განიხილავს. მოგვიანებით ამაზე შეიძლება ფრაქციამაც იმსჯელოს, — განუცხადა ჟურნალისტებს დავით საგანელიძემ.

დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე დავით საგანელიძესთან დაპირისპირებას ადასტურებს, ამასთან, არ იცის, გარიცხავენ თუ არა უმრავლესობიდან. შავ სიაში მოხვედრილი ლორთქიფანიძის თქმით, მის გარდა, საგანელიძის საქმიანობით სხვა დეპუტატებმაც გამოხატეს უკმაყოფილება. დეპუტატების გარკვეულ ჯგუფს საარჩევნო შტაბებთან დაკავშირებით ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობა.

— 14 დეპუტატმა ხელი მოვაწერეთ და ბიძინა ივანიშვილს მივმართეთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენ არ მოგვწონდა შტაბებთან მიმართებით დეპუტატების ჩართულობის ხარისხი. ამასთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება ნამდვილად არ ყოფილა, თუ ვინმეს უნდა, რომ ბუზისგან სპილო შექმნან, ვერ გეტყვით, — განაცხადა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში ლორთქიფანიძემ.

რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას დეპუტატის პარტიიდან და საპარლამენტო უმრავლესობიდან შესაძლო გარიცხვის შესახებ, ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ მისთვის ამის თაობაზე არავის უცნობებია.

— სიმართლე გითხრათ, ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო, არ ვიცი. თუ რამეს აპირებენ, იმედია, ჩემ გარეშე არ დააპირებენ. იმედია, მე მკითხავენ მიზეზს და არგუმენტირებულად ყველაფერზე, თუკი რაიმე მიზეზი იქნება, ვუპასუხებ. დათო საგანელიძის გამო თუ ხდება ეს ყველაფერი, არ ვიცი. პარტიიდან გარიცხვა ასე მარტივად არ უნდა მოხდეს. პარტიიდან გარიცხვა ისეთი ფენომენია, რომ რიგითი წევრიც არ შეიძლება გარიცხო ასე და მით უმეტეს პარლამენტის წევრი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში პარტიული პოლიტიკის, გუნდური პრინციპის ერთგულია. შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ ვანის რაიონში რაღაც თუ კეთდება ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ჯანდაცვის სფეროსთან დაკავშირებით, ყველაფერს ვაკეთებ. აღვადგინეთ სკოლა ნაციონალების გაუქმებული, ბავშვები 16 კილომეტრს ფეხით რომ დადიოდნენ, ეს პრობლემა გადავწყვიტეთ, თუკი ამისთვის შეიძლება, რომ ადამიანს საყვედური უთხრა, არ ვიცი, — აღნიშნა ლორთქიფანიძემ.

როგორც ლორთქიფანიძე აღნიშნავს, იგი გარკვეულ საკითხებზე საკუთარ პოზიციებს ხმამაღლა აფიქსირებდა.

— მე ვეწინააღმდეგებოდი კოჰაბიტაციის იმ მახინჯ ფორმას, რომელიც ერთი წლის განმავლობაში გავიარეთ და ვეწინააღმდეგებოდი იმას, რომ ვანის რაიონში ნაციონალური მოძრაობა ისევ ზეობაშია და ისევ აგრძელებენ პარპაშს. ამასთან დაკავშირებით მე მქონდა ჩემი პოზიციები. თუ ვინმეს ჩემი განცხადებები დისკომფორტს უქმნის და ფიქრობს, რომ პარლამენტის წევრმა არაფერი უნდა თქვას, მაშინ გასარიცხი კი არა, დასახვრეტი ვყოფილვარ, რადგან მე მგონია, რომ ჩვენ ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოვედით, — განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

პარტიიდან გარიცხვის პრაქტიკა ჩვენში ფეხმოკიდებული არ არის. ამ ხერხს ნაციონალებმა მიმართეს რამდენჯერმე. 2002 წელს მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, ნაციონალური მოძრაობიდან გარიცხეს პეტრე ცისკარიშვილი. ამის მიზეზი მის მიერ გამოყენებული კასტეტი გახდა. ალბათ, ყველას გახსოვთ, როგორ ჩაარტყა მან დავით საგანელიძეს თვალში კასტეტი.



მეორედ ამ პრაქტიკას ნაციონალებმა საპარლამენტო არჩევნებამდე მიმართეს. 2012 წელს მათ ვანის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან ხურციძე გარიცხეს. ამის მიზეზად მისი პასიურობა დაასახელეს.

პარტიიდან დეპუტატის გარიცხვა „ახალი მემარჯვენეების“ ანგარიშზეც არის. ეს ამბავიც 2002 წელს მოხდა. ეს განაჩენი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ირაკლი ბათიაშვილს გამოუტანეს. მემარჯვენეების საპარლამენტო ფრთამ გადაწყვიტა, მხარი არ დაეჭირა 2003 წლის ბიუჯეტისთვის, მაგრამ ბათიაშვილმა მხარი დაუჭირა, მხარდაჭერა კი იმით ახსნა, რომ თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდებოდა.

ბათიაშვილის გარიცხვა დიდი ხმაურით დასრულდა. რამდენიმე შეიარაღებული პირი მემარჯვენეების ოფისში შეიჭრა და იქაურობა დაარბია. ამაზე მაშინ სისხლის სამართლის საქმეც კი აღიძრა.

# ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი 27 ნოემბრისთვის გადაიდო

**2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ვანო მერაბიშვილის სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 27 ნოემბრისთვის გადაიდო.**



გუშინდელ სასამართლო პროცესზე ვანო მერაბიშვილმა მტკიცებულებათა ნუსხაში 26 მაისთან დაკავშირებით აშშ-ის კერძო კომპანია ,,დენსუსის“ მიერ მომზადებული დასკვნის შეტანა მოითხოვა, რადგან, მისი თქმით, აღნიშნული დასკვნის გარეშე სასამართლო პროცესებს აზრი ეკარგება.

„ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ეს დასკვნა არ გამხდარიყო საჯარო. 2011 წელს, 26 მაისის შემდეგ, შს სამინისტრომ მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, რომ შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მხრიდან მომხდარიყო დასკვნის მომზადება, რომ შეგვესწავლა სამინისტროს ქმედებები. ეს დოკუმენტი ჩვენი შეთანხმებისამებრ არ გვინდოდა გამოქვეყნებულიყო, რათა არ ჩათვლილიყო, ეს იყო თავის მართლება. ამით გარკვეულ პოპულიზმს ჰქონდა ადგილი. ეს იყო განკუთვნილი იმის დასადგენად, თუ როგორ მოქმედებდა პოლიცია. მას შემდეგ, რაც საქმე აღიძრა ჩემს მიმართ ამ საქმეზე პროკურატურა, შს სამინისტრო, მიუხედავად ჩემი ადვოკატების არაერთი თხოვნისა, უარს ამბობდა ამ დასკვნის გასაჯაროებაზე. მას შემდეგ, რაც მივმართეთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და რაც საელჩო უშუალოდ ჩაერია, დაცვის მხარეს გადაეცა ეს დასკვნა. იმ შემთხვევაში, თუ ეს დასკვნა არ ჩაიდება, ამ პროცესებს აზრი ეკარგება. ამ დასკვნის შემდეგ, ვერც ერთი მოსამართლე ვერ იმსჯელებს ჩემს ბრალეულობაზე. საქართველოს ხელისუფლებისთვის და ბიძინა ივანიშვილისთვის კი ეს დასკვნა საბედისწეროა. ამ დასკვნის არჩადება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

მან მოუწოდა მოსამართლეს, არ დაუშვას საქმიდან ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულების ამოღება, მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან არსებული ზეწოლისა.

**მედიანიუსი**

# შალვა ნათელაშვილი: „მარგველაშვილის ინაუგურაციას მეზობელი ქვეყნების პრეზიდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს“

შორენა გონგლაძე

**„ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი სამწუხაროდ მიიჩნევს იმ რეალობას, რომ „დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ არჩევნების შედეგები ცნო.**

როგორც ნათელაშვილმა „პრაიმ-ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბურჯანაძემ არჩევნების აღიარების სანაცვლოდ მილიონები მიიღო.

— ბურჯანაძემ ამ არჩევნების აღიარებისთვის მიიღო ერთი მილიონი ბიუჯეტიდან და მრავალი მილიონი რუსეთიდან. ბატონი მედვედჩუკისა და კახა თარგამაძისგან. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ასეთი ოპოზიციის ხელში ჩვენს ქვეყანას კიდევ კარგად უდგას სული. ოპოზიციას არ აქვს პრინციპები, იდეები, ის არც პოლიტიკაში, არც მეგობრობაში და არსად არ გამოდგება. ეს იქიდანაც ჩანს, თუ როგორ გულდათუთქული აწერდნენ გაეროში მიმართვებს ხელს უსუფაშვილები, გუბაზები და ისინი, ვინც არიან დღეს ოცნებაში, იმის თაობაზე, რომ საარჩევნო კანონმდებლობა არის უვარგისი. 2010 წელს მე თვითონ ჩავიტანე გაეროში ეს ხელმოწერები და დღეს ეს ხალხი კბილებით იცავს სააკაშვილსა და ნაცმოძრაობას, — აცხადებს ნათელაშვილი. მისივე თქმით, ის განაგრძობს ბრძოლას უკანონობის წინააღმდეგ.

— ინაუგურაცია ჩვენ თვითონ ჩავატარეთ, მე მივედი წითელ ხალიჩასთან და დავდე ფიცი, რომ ამ ბანდას საქართველოდან გავაძევებთ. ჩვენ ამ მიმართულებით უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც არც ერთი დღე არ შეგვიწყვეტია საპროტესტო აქციები. ეს ყველაფერი კი დავაგვირგვინეთ საპროტესტო მარშით, რუსთაველის ძეგლიდან ინაუგურაციის წითელ ხალიჩამდე, სადაც ამ ხელისუფლებას მივუტანეთ არჩევნების გაყალბებული ოქმები. საპროტესტო მუხტი არსებობს, მოძრაობა უკვე დაწყებულია და შესაძლებელია პოლიტიკური გაზაფხულის დაყენება კლიმატურ გაზაფხულთან ერთად, — აცხადებს ნათელაშვილი.



შალვა ნათელაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას მეზობელი სახელმწიფოების ლიდერებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. მისივე თქმით, ქართველი ხალხის გვერდში დგომისთვის ის ამ ლიდერების მადლობელია.

— ინაუგურაციაზე სააკაშვილის არ მისვლა არ არის დიდი პრობლემა. ფაქტია, რომ არ ჩამოვიდა არც ერთი ქვეყნის პრეზიდენტი, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნისა. კარგი ქალბატონია, მაგრამ ფუნქციები მას არ აქვს. ღონისძიებაზე არ ჩამოვიდა არც ერთი მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტი, აქ არ არის საუბარი რუსეთზე, სად იყო თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი? ეს იყო უპრეცედენტო რამ, როდესაც მეზობელი ქვეყნის პრეზიდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ინაუგურაციას და სწორედაც მოიქცნენ. ისინი არიან ბრძენი ხალხი, მათ იციან ჩვენი სიმართლე და ჩვენს მაგივრად არიან შეურაცხყოფილი. ვიღაც ქორვაჭარმა და ქარვასლის გამგემ გაბედა, ქვეყანა გადაექცია ხელის ბიჭების დონეზე, — აცხადებს ნათელაშვილი. მისივე თქმით, ინაუგურაციას მხოლოდ ვერცხლისმაძიებლები ესწრებოდნენ.

— ამ ინაუგურაციას ესწრებოდა ვერცხლისმაძიებელთა ხროვა. ამ ინაუგურაციას ესწრებოდნენ მსახიობები, რომლებიც კოტრიალობდნენ ყველა ლოგინში, ლავრენტი ბერიადან დაწყებული, ნიკიტა ხრუშჩოვითა და ვასილ მჟავანაძით, ედუარდ შევარდნაძითა და მიხეილ სააკაშვილით დასრულებული. ლანა ღოღობერიძე, ხალხო, ლავრენტი ბერიას დროიდან მოგვყვება. იმ დღეს გამოვიდა, ტელევიზორში რომ ვნახე, ვიფიქრე, მეჩვენება— მეთქი, ახლა გამოვიდა და ივანიშვილს აქებს. ქართული ელიტა გარეცხილია ზნეობისგან, ის არის ვერცხლისმაძიებელთა ხროვა. ვინც ვერცხლს აძლევს, იმას ემსახურება და მის დაკრულზე ცეკვავს. ამიტომაც ჩვენ უნდა გავუხსნათ გზა ახალ საზოგადოებას იმისათვის, რომ მოვიშოროთ ეს ხროვა, — აცხადებს ნათელაშვილი.

# ტექნობუმის ახალი პროექტი: „კომპიუტერი ყველა ოჯახში“

**დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ახალი ტექნოლოგიები უკვე არც ფუფუნებაა და აღარც მხოლოდ მსხვილი ბიზნესმენებისთვის მოსახმარი აუცილებელი ატრიბუტი. მათი აუცილებლობა სულ უფრო მეტად იკვეთება ყველა სოციალური ფენისთვის. საჭიროებასთან ერთად კი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი მათი ხელმისაწვდომობა გახლავთ.**




სწორედ ამიტომ ,,ტექნო ბუმის“ საყოველთაო პროექტი — ,,კომპიუტერი ყველა ოჯახში“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

მოგეხსენებათ, რომ ტექნიკის ბაზარზე ყველაზე დაბალი ფასებითა და ფართო ასორტიმენტით გამორჩეული ,,ტექნო ბუმის“ სავაჭრო ქსელი მომხმარებელს ფართო სოციალურ ფენებზე კარგად მორგებულ შეთავაზებებს გამუდმებით სთავაზობს. ამჟამად მათ მიერ დაწყებული ახალი პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის, რადგან მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მათი შესაძლებლობები. ამ პროექტის ფარგლებში უკვე ყველა ოჯახს შეეძლება ისარგებლოს ახალი ტექნოლოგიებით.

**ქეთი არჯევანიძე, ქართულის მასწავლებელი:** ,,ახალი ტექნოლოგიები სულ უფრო მეტად ხდება აუცილებელი. კარგი იქნებოდა ინტერნეტთან წვდომა და ელექტრონულად ინფორმაციის მიღებისა და შენახვის შესაძლებლობა ყველა მოსწავლეს ჰქონდეს. პლანშეტის საშუალებით ხელმისაწვდომია, მოსწავლემ განვლილი მასალა თავისი დამატებითი ინფორმაციების გათვალისწინებით, ზედმეტი დროის დახარჯვის გარეშე შეინახოს და გაიმეოროს. ცხოვრება ძალიან სწრაფად ვითარდება. თვით ენასა და ლიტერატურაშიც მრავალი რამ იცვლება. უკვე არსებული მასალის გარდა (რომელიც სასწავლო წიგნებშია თავმოყრილი) ძალიან ბევრი დამატებითი ინფორმაციის დამუშავება საჭიროა ყველა საგანში. პლანშეტი საუკეთესო საშუალებაა როგორც ინფორმაციის მოპოვებისა და დაგროვებისთვის ასევე სწრაფი განახლებისთვის. ეს კი მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებსაც საგრძნობლად გაგვიადვილებს მუშაობას. დაბალი ფასი კი ნამდვილად მისწრებაა ნაკლებშემოსავლიანი ადამიანებისთვის.“

ამსთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ,,ტექნო ბუმი“ ინარჩუნებს თავის საბაზრო უპირატესობას — ყველაზე დაბალი ფასი მოცემულ მოდელზე. ამჯერად კი პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია ყველა ბრენდის (,,ასუსი“, ,,დელი“, ,,ეისერი“, ,,პრაიმ პადი“, ,,სამსუნგი“, ფილიფსი“, ,,სონი“) კომპიუტერებზე, ნოუთბუქებზე, სისტემურ პლანშეტურ კომპიუტერებზე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ,,ტექნო ბუმის“ მომხმარებელმა გარანტირებულად იცის, რომ ერთი თვის მანძილზე საქართველოს მასშტაბით თუ მოცემულ ნივთზე რომელიმე სხვა ქსელში უფრო დაბალ ფასს აღმოაჩენს ფასთა სხვაობას აუნაზღაურებენ.

საუბარია პლანშეტურ კომპიუტერებზე. 24-თვიანი უპროცენტო განვადების საშუალებით, ყოველგვარი წინასწარი შენატანისა და საკომისიოს გადახდის გარეშე, თვეში მხოლოდ 8 ლარად შესაძლებელი ხდება გახდეთ ასეთი ტექნიკის მფლობელი, მიიღოთ უახლესი ინფორმაციები, გაეცნოთ საერთაშორისო სიახლეებსა და მსოფლიოს მიღწევებს და პრაქტიკულად გამოიყენოთ ისინი.

ცნობილია, რომ უცხოეთის ბევრ უმაღლესში კომპიუტერი ისეთივე აუცილებელი სასწავლო ნივთია, როგორც რვეული ან კალამი. შეგიძლია რამოდენიმე წიგნის ნაცვლად ერთი პლანშეტი იქონიო და ატარო. ასე ბევრად უფრო მარტივი და მოხერხებულია. მსგავსი პრაქტიკა ჩვენთანაც მკვიდრდება. თვეში 8 ლარის გადახდა ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომია.

,,მწარმოებლებთან და ბანკებთან მიღწეული შეთანხმებით კომპიუტერი ყველა ოჯახისთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ. მომხმარებელს აღარ მოუწევს წინასწარი შენატანისა და საკომისიოს გადახდა. სხვადასხვა მონაცემების პლანშეტურ კომპიუტერებზე, სისტემურებსა თუ ნოუთბუქებზე თვეში მხოლოდ 8-დან 15-ლარამდე თანხას გადაიხდის. სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ განვადების თანხა უფრო ადრეც დაფარონ და არც ამ შემთხვევაში მოუწევთ წინასწარ გადახდილ თანხაზე ჯარიმის გადახდა, — აცხადებენ ,,ტექნო ბუმში“.

დაბოლოს, კიდევ ერთი პროექტი, რომელიც ,,ტექნო ბუმისა“ და ,,ჯეოსელის“ თანამშრომლობით მიმდინარეობს. ამ პროექტის ფარგლებში მობილური ტელეფონები ნახევარ ფასად იყიდება ორივე ფირმის ოფისებში. მინიმალური ფასი 19 ლარიდან იწყება.

**ანა ვაჩნაძე**

# ტუბერკულოზი ჯანდაცვის უმწვავესი პრობლემაა!

მერი ნამორაძე

ტუბერკულოზი ჯერ კიდევ რჩება კაცობრიობის გლობალურ პრობლემად. ამ პათოლოგიით ყოველწლიურად 8,5 მილიონი ადამიანი ავადდება და 3 მილიონი იღუპება. ამათგან 100 ათასამდე ბავშვი და არასრულწლოვანია. ტუბერკულოზით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, სოციალური მდგომარეობისა და პროფესიისა. გავრცელებული აზრი, რომ ეს დაავადება მხოლოდ დაბალი სოციალური ფენის, არაჰიგიენურ პირთა დაავადებაა, ჭეშმარიტებას მოკლებულია, მაგრამ მაინც შეიძლება ტუბერკულოზით ინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი პირების გამოყოფა. რესპირატორული ასოციაციის პრეზიდენტის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფთიზიატრიის დეპარტამენტის პროფესორის, კახა ვაჭარაძის თქმით, რისკ-ფაქტორებია მჭიდრო კონტაქტი ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანებთან, დაავადების მაღალი გავრცელების ქვეყანაში ცხოვრება, ცუდი საცხოვრებელი პირობები, არასრულფასოვანი კვება, ხანშიშესულობა, ნარკომანია. რა შემთხვევაში შეიძლება დაავადების დამარცხება და რამდენად ძლიერია სტიგმა დაავადებული ადამიანების მიმართ? ამ პრობლემებზე „ახალი თაობა“ კახა ვაჭარაძეს ესაუბრა.

***– ბატონო კახა, საქართველოში ტუბერკულოზის გავრცელების მასშტაბებზე რას გვეტყვით?***

– უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ტუბერკულოზი არის საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უმწვავესი პრობლემა. ქვეყანაში ამ დაავადების ახალი ტალღა განპირობებული იყო ეკონომიკური კრიზისით, ჯანდაცვის სისტემის მოშლით, სიღარიბის მატებით, სამოქალაქო დაპირისპირებით. ბოლო მონაცემებით, ყოველ 100 ათას მოსახლეზე 125-135 შემთხვევა ფიქსირდება. ჩვენი მიზანია, 2015 წლისათვის 50 პროცენტით შევამციროთ ეს ციფრი, 2050 წლისათვის კი ყოველ 100 ათას მოსახლეზე მხოლოდ ერთი შემთხვევა უნდა ფიქსირდებოდეს. ეს იქნება საუკეთესო შედეგი, რის მისაღწევადაც დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება.

***– რამდენად ხერხდება დაავადების დროული გამოვლენა პაციენტებში?***

– შემთხვევათა ადრეული გამოვლენა და ინფექციის მკაცრი კონტროლი ტუბერკულოზის ტვირთის შემცირების საწინდარია. როდესაც პაციენტი დიაგნოსტიკისათვის სამედიცინო ქსელს დაგვიანებით მიმართავს, ის კონტაქტში მყოფი არაერთი პირის დაინფიცირების მიზეზი შეიძლება გახდეს, რაც ზრდის ახალი შემთხვევების გაჩენისა და რეზისტენტობის განვითარების რისკს. ტუბერკულოზის ნიშნებია ხველა, რომელიც გრძელდება 2-3 კვირის და მეტი ხნის განმავლობაში, ასევე ტკივილი გულმკერდის არეში, ხველა ნახველით ან სისხლით, სუნთქვის გაძნელება. აქტიური ტუბერკულოზის სხვა სიმპტომებია წონაში კლება, საერთო სისუსტე, ადვილად დაღლა, ტემპერატურის მატება საღამოობით, ღამის ოფლიანობა და უმადობა.



ტუბერკულოზის მიკობაქტერიით ნებისმიერ დროს ერთხელ ინფიცირებული პირი მთელი ცხოვრების განმავლობაში რჩება ინფექციის მატარებელი, თუმცა დაავადების არავითარი ნიშანი და სიმპტომი არა აქვს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, საქართველოში დაავადებულთა გამოვლენა ხდება პასიური მეთოდით ანუ როცა რესპირატორული სისტემის პათოლოგიებისთვის დამახასიათებელი სიმპტომებით პაციენტი თავად მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას. აქტიური გამოვლენის ჩატარება კი საჭიროა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პირებში, აივ-ინფიცირებულებში, ფილტვის აქტიური ტუბერკულოზით დაავადებულთან კონტაქტში მყოფ პირებში, ინტრავენურ ნარკომანებში და იძულებით გადაადგილებულ პირებში. დაავადების გავრცელების ძირითადი პრევენციული ღონისძიება დაბადებისთანავე ახალშობილთა „ბე-ცე ჟე“ ვაქცინაცია, მაღალი რისკ-ჯგუფებისათვის ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობაა. გარდა ამისა, საჭიროა უფასო მკურნალობის უზრუნველყოფა, საზოგადოების განსწავლა ტუბერკულოზის შესახებ და, რაც მთავარია, ტუბერკულოზის სტიგმის აღმოფხვრა. ადამიანმა არ უნდა დამალოს თავისი მდგომარეობა, დროულად უნდა მიაკითხოს სამედიცინო დაწესებულებას სიმპტომების გაჩენის შემთხვევაში, რათა თავიც გადაირჩინოს და გარშემომყოფებსაც არ მოუტანოს ზიანი. მახსოვს ერთი შემთხვევა, ერთი ახალგაზრდა ქალბატონი შემთხვევით დაავადდა ტუბერკულოზით, ექიმის შვილი იყო და იცოდა, რა საფრთხესთან ჰქონდა საქმე. განყოფილების მუშაკები, სადაც მუშაობდა, ყოველ 6 თვეში ერთხელ გამოსაკვლევად მიჰყავდა ხოლმე, რომ არავისი ცოდვა დაედო კისერზე, ერთხელ ყველა ბახმაროშიც კი დაასვენა.

***– მკურნალობის პროცესის ხანგრძლივობა თუ შეცვალა თანამედროვე მედიცინამ?***

– მკურნალობა 2 ფაზას მოიცავს – საწყის, ინტენსიურ მკურნალობასა და შენარჩუნების, გაგრძელების ფაზას. ინტენსიური მკურნალობის ფაზა მიზნად ისახავს აქტიურად მზარდი და ნახევრად მთვლემარე ბაქტერიების განადგურებას. ეს ნიშნავს საშიში პერიოდის შემცირებას, რაც გამოვლინდება ნახველში ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერიების არარსებობით. ამ დროს ხდება დიდი დოზით ანტიტუბერკულოზური მედიკამენტების კომბინირებული მიღება. ეს ფაზა გრძელდება 2-დან 3 თვემდე.

გაგრძელების ფაზა უზრუნველყოფს დარჩენილი ბაქტერიების განადგურებას და ამცირებს რეციდივისა და ლეტალობის ალბათობას. ეს ფაზა არარეზისტენტული ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში საშუალოდ 4 თვე გრძელდება.

***– როგორც ცნობილია, ამ პრეპარატებს მძიმე გვერდითი რეაქციები აქვს, რის გამოც პაციენტთა ნაწილი წყვეტს მკურნალობას. რამდენად ხერხდება მათი დარწმუნება იმაში, რომ სასიცოცხლოდ აუცილებელია მკურნალობის ბოლომდე მიყვანა?***

– პაციენტები საკმაოდ ხშირად აღნიშნავენ ჩივილებს, რომლებიც მედიკამენტების გვერდით მოვლენებს უკავშირდება. გვერდითი რეაქციები შეიძლება გამოვლინდეს როგორც მკურნალობის დაწყებიდან 2-3 კვირაში, ასევე მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე. საჭიროა პაციენტის წინასწარი ინფორმირება გვერდით მოვლენებთან დაკავშირებით. მსუბუქი გვერდითი რეაქცია არ საჭიროებს მკურნალობის შეწყვეტას, საჭიროა მისი მართვა და არ შეიძლება მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა. საშუალო სიმძიმის გვერდითი რეაქციის დროს საჭიროა „დამნაშავე“ პრეპარატის ეტაპობრივად მიღება მნიშვნელოვანი გვერდითი რეაქციების განვითარება, რომელმაც შეიძლება ფუნქციური დარღვევა გამოიწვიოს, საკმაოდ იშვიათია და საჭიროებს მკურნალობის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. ხშირ და მსუბუქ გვერდით მოვლენებს მიეკუთვნება ალერგიული რეაქციები, გულისრევის შეგრძნება, ღებინება, ფაღარათი, სახსრების ტკივილი. გარდა ამისა, ანტიტუბერკულოზურმა პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური და ნევროლოგიური აშლილობანი, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, თირკმლის, ღვიძლის მძიმე დაზიანება, ნივთიერებათა ცვლის მოშლა, სისხლმბადი სისტემის დაზიანება და სიცოცხლისათვის საშიში დარღვევები.

უმკურნალებ პაციენტებში მკურნალობის მოკლე კურსის რეჟიმით შესაძლებელია განკურნების 95%-ზე მაღალი მაჩვენებლების მიღება. ასეთი შედეგი ნაკლებად მიიღწევა, როცა ხდება მკურნალობის თვითნებური, ნაადრევი შეწყვეტა, არასათანადო მკურნალობის კურსის დანიშვნა, დაგვიანებული დიაგნოსტიკა. კვლევებმა აჩვენა, რომ სამი პაციენტიდან ერთი ვადამდე ადრე წყვეტს მედიკამენტების მიღებას. ასეთი ქცევა დამახასიათებელია არა მარტო ამბულატორიული, არამედ ჰოსპიტალური პაციენტებისთვისაც, რომლებიც მალავენ, ყრიან აბებს, რათა არ მიიღონ დოზა. მკურნალობის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში პაციენტი კარგად, გამოჯანმრთელებულად გრძნობს თავს და აღარ სურს მკურნალობის სრული კურსის ჩატარება, რაც დაუშვებელია. დღეისათვის ვერ ხერხდება საზოგადოების იმ ფენის გამოყოფა, რომელიც ბოლომდე ჩაიტარებს მკურნალობას. მკურნალობას წყვეტს ნებისმიერი სქესის, ასაკის, სოციალური სტატუსის და განათლების დონის მქონე ადამიანი. ამიტომ შემუშავდა პროგრამა „მკურნალობა უშუალო ზედამხედველობის ქვეშ“, ანუ „დოტსი“, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ პაციენტი მიიღებს წამლის სრულყოფილ დოზას, რაც ხელს შეუწყობს რეზისტენტობისა და ლეტალური გამოსავლის შემცირებას.

განკურნებულად ითვლება პაციენტი, რომელმაც ჩაიტარა მკურნალობის სრული კურსი და მკურნალობის ბოლოს ნახველის მიკროსკოპული და კულტურალური გამოკვლევის შედეგად მიღებულ პასუხში არ აღინიშნება ტუბერკულოზის მიკობაქტერიის არსებობა ანუ მიიღება ნახველის გამოკვლევის უარყოფითი პასუხი. სწორად ნამკურნალები ტუბერკულოზი განკურნებადია, არანამკურნალები ან ცუდად ნამკურნალები – შესაძლებელია, პაციენტის სიკვდილის მიზეზი გახდეს.

***– თქვენ ტუბერკულოზთან დაკავშირებული სტიგმა ახსენეთ. კვლავ ძლიერია ის ჩვენს საზოგადოებაში?***

– დიახ, ჯერ კიდევ ძლიერია, რაც ართულებს ამ დაავადებასთან ბრძოლას. თანამედროვე მედიცინამ დაამარცხა ეს დაავადება, მაგრამ ვერ დაამსხვრია საზოგადოების ფართო ფენაში გავრცელებული სტერეოტიპები. ეს ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია. არასწორ რეაქციას მივყავართ დაავადებულის დისკრიმინაციამდე, რაც აიძულებს პაციენტს დამალოს თავისი დაავადება. Is ხდება იზოლირებული, დეპრესიული, თავს არიდებს შესაბამის დაწესებულებაში მისვლას, რის გამოც ძალაუნებურად უარს ამბობს მკურნალობაზე. ამას კი დაავადების გახანგრძლივებამდე და გავრცელებამდე მივყავართ. სტიგმის ზემოქმედების შედეგად ხდება ოჯახის, სამუშაოს, სოციალური სტატუსის დაკარგვა; ჩნდება შეურაცხყოფის, სირცხვილის, სევდის, მარტოობის შეგრძნება. თავს იჩენს სტრესი, თვითიზოლაცია, ალკოჰოლიზმი, თვითმკვლელობის სურვილი. სტიგმის დასაძლევად საჭიროა საზოგადოებამ ერთმანეთისგან განასხვაოს მითი და რეალობა. მითია ის, რომ ტუბერკულოზი მომაკვდინებელი დაავადებაა, რომელიც გადადის ხელის ჩამორთმევით, ჭურჭლით და სხვა საყოფაცხოვრებო საგნებით. სინამდვილეში სრულიად განკურნებადია დროულად გამოვლენილი და სწორად ნამკურნალები დაავადება, რომელიც გადადის მხოლოდ ფილტვის ტუბერკულოზის „ღია“ ფორმით დაავადებულ ადამიანთან ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტით.

## სარფის საბაჟოზე ფსიქოტროპული მედიკამენტის შემომტანი დააკავეს

საფრანგეთის მოქალაქემ საქართველოში ფსიქოტროპული მედიკამენტის შემოტანა სცადა. შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საფრანგეთის მოქალაქე გ.კ საბაჟო გამშვები პუნქტის „სარფის“ ტერიტორიაზე თურქეთის რესპუბლიკიდან შემოვიდა. მისი კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას ფსიქოტროპული მედიკამენტები აღმოაჩინეს.

საქმე რეაგირებისთვის შსს კრიმინალური პოლიციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარ სამმართველოს გადაეცა.

ნიუსპრესი

## იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 მოსამართლე აირჩია

მოსამართლეობის 59 კანდიდატიდან, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მხოლოდ 12 შეარჩია. 59-დან 41 მოსამართლე აქამდეც მუშაობდა, 18 მათგანი კი – ახალი მოსამართლეა.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის თქმით, საჭირო იყო მინიმუმ 20 ახალი მოსამართლის არჩევა, რადგან საქმეების განხილვა უფრო სწრაფად მომხდარიყო. ხმის მიცემის შედეგები სხდომის წევრებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გააცნო.

უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის 59 კანდიდატს ფარულად უყარეს კენჭი. კანდიდატს მოსამართლედ არჩევისთვის, საბჭოს 13 წევრიდან, მინიმუმ 10-ის მხარდაჭერა უნდა მიეღო.

კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისად, მოსამართლეები 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით დაინიშნებიან.

ნიუსპრესი

## ნოდარ ხადური: „ძალიან ბევრი დაჭერილია და ბევრს კიდევ დაიჭერენ“



ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა დღეს პალამენტის კომიტეტის სხდომაზე გამოვლისას სამომავლო გეგმებზე და ეკონომკურ პარამეტრებზე ისაუბრა. უმცირესობის დეპუტატების მწვავე კითხვების საპასუხოდ ეკონომიკის ზრდის შეფერხებასა და საბიუჯეტო პრობლემებთან დაკავშირებით, ხადურმა ის მიზეზები ჩამოთვალა, რომელიც მისი განმარტებით, ეკონომიკის განვითარებას აფერხებს.

როგორც ხადურმა განაცხადა, ადრე 100 მილიონ ლარამდე არადეკლალირებული საგადასახადო შემოსავლები არსებობდა და ეს ბიზნესისთვის „შეწერილი“ ფული იყო.

მისი თქმით, ბიზნესისთვის „შეწერილი“ თანხმებით აშენდა იუსიტიციის სახლიც.

„საგადასახდო შემოსავლები დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარებაზე ეკონომიკის განვითარებას კი, ხელს უშილიდით თქვენ, თქვენი გუბრნატორები და ასევე, პრეზიდენტის განცხადებები, იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანა ინგრევა. ნახევარ მილიარდ ლარზე შეჩერებულია ტენდები, იმის გამო რომ თქვენ კორუფციული ტენდერები გქონდათ, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული ამაზე, ძალიან ბევრი დაჭერილია და კიდევ ბევრს კი დაიჭერენ“ – განაცხადა ხადურმა.

ნიუსპრესი

## ბუნებრივი აირით ორი ადამიანი მოიწამლა

თბილისში ბუნებრივი აირით ორი ადამიანი მოიწამლა. როგორც ,,მედიანიუსს“ ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ბუნებრივი აირით მოწამლულები არიან 25 და 27 წლის ახალგაზრდა ქალები.

შემთხვევა გუშინ დილით ჯიქიას ქუჩაზე მოხდა. ამჟამად ისინი ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის ტოქსიკოლოგიის განყოფილებაში არიან მოთავსებულები.

მოწამლული გოგონების ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მედიანიუსი

## მაშველებმა მტკვარში გადავარდნილი მამაკაცი გადაარჩინეს

სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა მტკვარში გადავარდნილი ახალგაზრდა მამაკაცი გადაარჩინეს. ჯერჯერობით უცნობია ახალგაზრდა მამაკაცი შალიკაშვილის ხიდიდან გადახტა თუ გადავარდა. ადგილზე მას პირველადი სამედიცინო დახმარება ჩაუტარდა, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიანიუსი

## გოკა გაბაშვილი: „უმცირესობა ახალ მთავრობას მხარს არ დაუჭერს“

დეპუტატმა გოკა გაბაშვილმა მთავრობის ახალ, უცვლელ შემადგენლობას წარუმატებელი უწოდა და აღნიშნა, რომ უმცირესობა მათ დამტკიცებას მხარს არ დაუჭერს. ამის შესახებ გაბაშვილმა პრემიერ-მინისტრობის კანდიდატისა და უმცირესობის წევრების შეხვედრის შეჯამებისას განაცხადა.

„უპასუხისმგებლო სტრატეგია და ტაქტიკა“ - ასე შეაფასა მან ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა და უმცირესობასთან დებატები. მისი თქმით, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ასე არ უნდა იქცეოდეს და არ უნდა არღვევდეს ცივილიზებული საზოგადოებისთვის მისაღებ ნორმებს.

,,ჩვენთვის თქვენ ხართ ყველაზე წარუმატებელი პერიოდის მთავრობა, რომელიც უცვლელად არის წარმოდგენილი, თქვენ ხართ მთავრობა, რომელმაც მრავალი ასეული მილიონით გაარღვია საქართველოს ბიუჯეტი და პრაქტიკულად, შეაჩერა ეკონომიკური ზრდა, შესაბამისად, უმცირესობის მხარდაჭერას თქვენ ვერ მოიპოვებთ“ -აღნიშნა გოკა გაბაშვილმა

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის ირაკლი ღარიბაშვილისა და საპარლამენტო უმცირესობის დებატები პარლამენტში რამდენიმე სათის განმავლობაში მიმდინარეობდა. რამდენიმე დეპუტატსა და პრემიერობის კანდიდატს შორის დებატები რამდენჯერმე მწვავე დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ნიუსპრესი

## შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტს კანადის ელჩი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი დავით სუჯაშვილი კანადის ელჩ ჯონ ჰოლმსს შეხვდა.

მხარეებმა შეხვედრაზე ოკუპირებული ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციაზე, ასევე, ოკუპაციის ხაზის მიმდებარედ არსებული მავთულხლართების, ღობეებისა და მიწათხრილების გამო, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შექმნილ პრობლემებზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დავით სუჯაშვილმა ჯონ ჰოლმსს ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიებთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ დაგეგმილ და მიმდინარე ღონისძიებებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიაწოდა.

შეხვედრაზე ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრეს. ასევე, მხარეებმა ორი ქვეყნის შესაბამის უწყებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების საკითხი განიხილეს.

ნიუსპრესი

# ბაჩო ახალაიას საქმე სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა

ნათია ხურცილავა

თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ბაჩო ახალაიას, სასამართლო პროცესმა საქალაქო სასამართლოდან ზემდგომ ინსტანციაში — სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა. საუბარია ერთ-ერთ ეპიზოდზე, რომელთან დაკავშირებითაც საქალაქო სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

პროკურატურამ ზემდგომ ინსტანციაში ე.წ. სამხედროების საქმე და ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმე გაასაჩივრა.



როგორც აღვნიშნეთ, ბაჩო ახალაიას საქმეზე სააპელაციო სასამართლოში პროცესი გუშინ განახლდა.

სხდომაზე დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოადგინა, რის შემდეგაც ბრალდებულები საბოლოო სიტყვებით წარდგნენ სასამართლოს წინაშე.

— სასამართლოს შეუძლია პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შეცვალოს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ეს ასე არ მოხდება, ვინაიდან ახალი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. თავის დროზე სასამართლომ ყველა ეს მტკიცებულება გამოიკვლია და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო, — განაცხადა ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა სასამართლო პროცესის დაწყებამდე.

სამხედროების მიმართ არაადამიანური მოპყრობისა და ზვიად აბესაძისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის საქმეზე თავდაცვის ყოფილი მინისტრის გარდა, კიდევ 7 პირი იყო ბრალდებული, პირველი ინსტანციის სასამართლომ ისინი უდანაშაულოდ ცნო.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ბრალდების მხარემ აპელაციის წესით გაასაჩივრა.

წინა პროცესზე პროკურატურის საჩივარზე სასამართლომ ბრალდების მხარის დასკვნითი სიტყვები მოისმინა.

მხარეების მოსმენის შემდეგ მოსამართლეთა კოლეგია გადაწყვეტილებას გამოაცხადებს, დატოვებს თუ არა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ძალაში, რის მიხედვითაც ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში გამართლდნენ თუ საქმე წარმოებას გადაეცემა.

სამხედროების წამების საქმეზე ბაჩო ახალაიას და სხვა პირთა სააპელაციო პროცესზე ბრალდების მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა და ბრალდების მხარის თქმით, მათ იმედი აქვთ, რომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ პროცესზე პროკურატურამ მოწმეების ჩვენებები დამახინჯებულად წარმოადგინა. ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი აცხადებს, რომ მათ იმედი აქვთ, სააპელაციო სასამართლო პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას უცვლელად დატოვებს.

სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ წაიკითხა ვაზიანისა და აბესაძის ეპიზოდები. აღნიშნულ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 1 აგვისტოს გამოაცხადა. სწორედ აღნიშნული გამამართლებელი განაჩენი გაასაჩივრა პროკურატურამ სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულ საქმეზე საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 28 ოქტომბერს ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულ სხვა პირებს, ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე, სასამართლომ 5 წლიანი სასჯელი მიუსაჯა, თუმცა ამნისტიის შედეგად, სასჯელი ერთი მეოთხედით შემცირდა და სასჯელმა ჯამში 3 წელი და 9 თვე შეადგინა.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 3 ნოემბერს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ე.წ. ციხის ბუნტის საქმეზე ბაჩო ახალაია შეიწყალა.

1 აგვისტოს ბაჩო ახალაია და მასთან ერთად 7 ბრალდებულის მიმართ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. საქმე ეხებოდა სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს.

ბაჩო ახალაია 26 ოქტომბერს სასამართლომ სანდრო გირგვლიანის საქმეში ბრალდებულად ცნო და აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

# თვითმმართველობის კოდექსს ორი სიახლე შემოაქვს

ნათია ხურცილავა



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ თვითმმართველობის კოდექსი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსსა და ქვეყანაში არსებულ დონორ ორგანიზაციებს წარუდგინა.

დიპლომატებთან გამართულ შეხვედრას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი ხელმძღვანელობდა. შერგელაშვილმა დამსწრეებს განუცხადა, რომ, პროექტის მიზანი ევროპული სტანდარტების თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბებაა.

შერგელაშვილმა იმ ორ სიახლეზე გაამახვილა ყურადღება, რომელსაც თვითმმართველობის პროექტი ითვალისწინებს.

— თვითმმართველობის კოდექსს ორი სიახლე შემოაქვს, პირველი, ეს არის თვითმმართველი ქალაქების გამოყოფა და მეორე, მოქალაქეების ჩართულობა. ამავდროულად, გარკვეული ფუნქციების გადაცემა რეგიონულ დონეზე ხდება. თვითმმართველობის რეფორმის საბოლოო ამოცანა ევროპაში მიღებული თვითმმართველობის სტანდარტების დამკვიდრებაა, — განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

შვეიცარიის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის რუდოლფ შოხის თქმით, თვითმმართველობის კოდექსი სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციისკენ არის მიმართული.

— შვეიცარიის განვითარების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და კონკრეტულად ამ რეფორმის ჩამოყალიბებაზე. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც თვითმმართველობის განვითარებასა და სახელმწიფო მმართველობის დეცენტრალიზაციისკენ არის მიმართული, — აცხადებს რუდოლფ შოხი.

საქართველოში ევროკავშირის ელჩის ფილიპ დიმიტროვის თქმით კი, მნიშვნელოვანია, რომ რეფორმა შესაბამისობაში იყოს თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიასთან.



— ეს რეფორმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დეცენტრალიზაციის კუთხით. მნიშვნელოვანია, რომ ეს რეფორმა შესაბამისობაში იყოს თვითმმართველობის შესახებ ევროპულ ქარტიასთან. თვითონ რეფორმა არის უმნიშვნელოვანესი, რადგან მისი წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოში დემოკრატიული მმართველობის განმტკიცების პროცესს, — განაცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

თვითმმართველობის კოდექსი საქართველოს პარლამენტის ბიურომ უკვე დაარეგისტრირა და მისი საკომიტეტო მოსმენები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ხელისუფლების მიერ დადებულ თვითმმართველობის პროექტს, როგორც გაირკვა, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.

„ახალი მემარჯვენეების“ გენერალურმა მდივანმა, მამუკა კაციტაძემ, პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიმდინარეობაზე ისაუბრა.

კაციტაძე აცხადებს, რომ პროცესი ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ფართო დისკუსიის გახსნას მოითხოვს.

— მიმდინარე წლის დასაწყისიდან გაკეთდა განცხადებები ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის დაწყების შესახებ. პროექტი რვა თვეზე მეტ ხანს ჩაიკეტა კულუარებში და კონცეფცია არ გახდა მსჯელობის საგანი. ოქტომბრის ბოლოს კი უკვე წარმოგვიდგინეს მზა პროექტი, რის მომზადებაშიც მონაწილეობა არ მიუღიათ თვითმმართველობებს და არც პოლიტიკურ პარტიებთან ყოფილა კონსულტაციები, — აცხადებს კაციტაძე.

როგორც აღვნიშნეთ, მამუკა კაციტაძე, პარლამენტში პროექტის განხილვის დაწყებამდე, ფართო დისკუსიის გახსნას მოითხოვს. „ახალი მემარჯვენეები“ ასევე ითხოვენ, რეფორმის პროექტი განსახილველად საერთაშორისო ექსპერტებთან, კერძოდ, ვენეციის კომისიაში გადაიგზავნოს.

# „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ეუთო-ს გენერალურ მდივანს შეხვდა

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე ევროპაში სამუშაო ვიზიტებს მართავს. იგი ეუთო-ს გენერალურ მდივანს ლამბერტო ზანიერის შეხვდა.



საუბრის ძირითადი თემა, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, წინასაარჩევნო გარემო, საქართველოში არსებული საარჩევნო კანონმდებლობა და კონკრეტულად არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევები იყო.

შეხვედრაზე ნინო ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არჩევნები წინა წლებთან შედარებით თავისუფალ გარემოში ჩატარდა, თუმცა, მისი თქმით, ის ნამდვილად არ იყო სამართლიანი.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძემ ეუთო-ს გენერალურ მდივანს საარჩევნო კანონდარღვევათა კონკრეტული ფაქტებიც წარუდგინა, მათ შორის სახელისუფლებო კანდიდატების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ და აღნიშნა რომ, მაგალითად, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ადმინისტრაციული რესურსის და საბიუჯეტო ხარჯების უკანონო გამოყენებასთან დაკავშირებით „ქართული ოცნების“ მაღალი თანამდებობის პირები არჩევნების შემდეგ, ღია ეთერშიც კი საუბრობენ.

„ბურჯანაძემ შეხვედრაზე დააყენა საკითხი სერიოზული ანალიზის აუცილებლობის შესახებ, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, გაყალბების იმ ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება საქართველოში ყველა არჩევნებზე, რათა მომავალი ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისათვის მდგომარეობა გაუმჯობესდეს და საარჩევნო გარემო რეალურად დემოკრატიული და სამართლიანი იყოს. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა საუბრისას ასევე ხაზი გაუსვა რომ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის უმრავლესობამ მხარი ნამდვილად დაუჭირა ქართული ოცნების კანდიდატს თუმცა არა იმ პროცენტული მონაცემებით რომელიც წინასწარ გამოაცხადა ხელისუფლებამ“ — ნათქვამია პარტიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ეუთო-ს გენერალურმა მდივანმა ლამბერტო ზანიერიმ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ ის დაინტერესებულია საქართველოში დემოკრატიის გაძლიერებით და ეუთო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მომავალი ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნები უფრო გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარდეს.

შეხვედრაზე ასევე საუბარი შეეხო მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ნინო ბურჯანაძემ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ეუთო-ს მისიის რაიმე ფორმით აღდგენის აუცილებლობის შესახებ და ამ მიზნით საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურების სურვილი გამოხატა.

ნიუსპრესი

# „ლიბერთი ბანკისა“ და Smartex ჯგუფის ორგანიზებით „Startup Weekend Tbilisi“ ჩატარდა

Startup Weekend — მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული ღონისძიებაა, რომელზეც IT დეველოპერები, დიზაინერები, პროდუქტ მენეჯერები და დამწყები ენთუზიასტები წარმოადგენენ საკუთარ ბიზნეს იდეებს, ქმნიან გუნდს, იღებენ რჩევებს გამოცდილი მენეჯერებისგან და ეძლევათ შანსი დაიწყონ საკუთარი ბიზნესი. გლობალური პროექტის ფარგლებში უკვე დაარსდა 4300-მდე ახალი ბიზნესი. ჩატარდა 400-ზე მეტი ღონისძიება, რომლებზე დამსწრეთა რაოდენობამაც 40 000-ს გადააჭარბა. Startup Weekend უკვე 200-ზე მეტ ქალაქში გაიმართა მთელს მსოფლიოში. აღნიშნული ქალაქების რიგს თბილისი პირველად შეუერთდა.

პროექტის მონაწილე გუნდებმა, რომლებიც საკუთარი ბიზნეს იდეების სრულყოფისთვის თავისუფალ უნივერსიტეტში (დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსში) 54 საათის განმავლობაში მუშაობდნენ, შერჩევის პირველი ეტაპი გაიარეს და საბოლოოდ, დაახლოებით 30 გუნდიდან ჟიურიმ 10 საუკეთესო შეარჩია.

ფინალურ ეტაპზე კი გამოვლინდა 2 გამარჯვებული:

მეორე ადგილზე გავიდა გუნდი Y, საკმაოდ საინტერესო პროექტით რესტორნების დაჯავშნისა და მიტანის სერვისის შესახებ

ხოლო პირველი ადგილი დაიკავა გუნდმა 1 პროექტით HiddenSeek — მეგობრების სხვადასხვა ღონისძიებებზე ანონიმური დაპატიჟების აპლიკაცია.

ჟიურის შემადგენლობა ასეთი გახლდათ: ლადო გურგენიძე (ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და Smartex-ის მთავარი აქციონერი), სანდრო რთველაძე (ლიბერთი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე) გიორგი ახალაია (USAID, Economic Prosperity Association), ქეთევან ბოჭორიშვილი (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე), თეა ჯოხაძე (თანაინვესტირების ფონდის ფინანსური დირექტორი) და რუსლან ხოროშვილი (Ernst & Young-ის მმართველი პარტნიორი საქართველოში)



როგორც ლადო გურგენიძემ განაცხადა, ფინალში გასული პროექტების უმრავლესობა ინვესტორებისთვის საინტერესოა, შესაბამისად, Smartex-ი მონაწილეებთან მუშაობას უახლოეს დღეებში გააგრძელებს.

პირველ ადგილზე გასული გუნდის ყველა წევრს ლიბერთი ბანკისა და Smartex ჯგუფისგან საჩუქრად iPad Air გადაეცა. ორივე გამარჯვებული გუნდი მიიღებს შანსს, გლობალურ Startup Battle-ზე წარადგინოს საკუთარი იდეა. იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაიმსახურებენ გლობალური Startup Battle-ის ჟიურის სიმპათიას და მათი პროექტი გაიმარჯვებს, გამარჯვებული გუნდი მიიღებს სოლიდურ დაფინანსებას და საჩუქრებს Global Startup Battle-ის ორგანიზატორებისგან.

ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ Smartex-ი აგრძელებს პირველ ქართულ Crowdfunding ექსპერიმენტს. Startup Weekend Tbilisi-ს პარალელურად დაფუძნდა სპეციალური კომპანია, რომელიც ნებისმიერ მსურველს აძლევს საშუალებას, თავად გახდეს ამა თუ იმ პროექტის აქციონერი. სწორედ ამ კომპანიიდან განხორციელდება ინვესტიცია Startup Weekend Tbilisi-ს მონაწილე პროექტებში, Smartex კი ამ კომპანიის მმართველის როლს შეასრულებს. Smartex-ის მთავარმა აქციონერმა ლადო გურგენიძემ და პროექტის რამდენიმე მონაწილემ უკვე მიმართა თანხა აღნიშნულ კომპანიაში. ინვესტირების მსურველთა განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 31 დეკემბერი. დეტალური ინფორმაცია Smartex-ის პირველი ქართული Crowdfunding ექსპერიმენტის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: http://smartex.ge/crowdfunding

# როგორია თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში?

ეკა ირემაშვილი

21 ნოემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ გაიმართება კვლევისა და წიგნის „თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში“ (ანალიტიკა, პრაგმატიკა, სტატისტიკა) პრეზენტაცია, რომელზეც მოწვეული არიან თეატრების ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები და თეატრის მკვლევარები.

წიგნის ავტორები არიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მკვლევრები თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი და კულტურის მენეჯერი ელენე ბაბაკიშვილი.

გამოცემა ეძღვნება ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას, მან მსახიობთა რეიტინგში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააგროვა. კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე კი რეიტინგში მხოლოდ მოქმედი მსახიობები ხვდებიან.

გამოცემა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს სექციასთან თანამშრომლობითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები ახალგაზრდა მეცნიერთათვის პროგრამის ფარგლებში.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– წიგნში 13 რეგიონული თეატრის მაგალითზე შეჯამებულია თეატრების მუშაობა 2010-2012 წლებში, მასში მოთხრობილია თეატრების წარმატებებზე, მიღწევებზე, მიმდინარე შემოქმედებით პროცესებზე და იმ წინააღმდეგობებზე და ხელისშემშლელ ფაქტორებზე, რომელსაც ადგილი აქვს ზოგადად ქართულ თეატრში. კრებული ასევე შეიცავს ამომწურავ ინფორმაციას თეატრების ტექნიკურ შესაძლებლობებზე და სცენის პარამეტრებზე.

***– რამდენად სრულყოფილია ეს გამოცემა?***

– წიგნში ასევე შესულია მაყურებელთა სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც დგინდება მსახიობთა და რეჟისორთა რეიტინგი, მოსახლეობის სიყვარული, პოპულარობა, ინტერესი მათ მიმართ.

***– რას ემსახურება ეს პროექტი?***

– პროექტი, რომელიც განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით მოიცავს საქართველოს 13 ადმინისტრაციული პუნქტის – რუსთავის, გორის, თელავის, ახალციხის, ქუთაისის, ჭიათურის, ზესტაფონის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, ბათუმის, ხულოს თეატრების შემოქმედებითი ცხოვრების მეცნიერულ გაანალიზება-დამუშავებას 2010-2012 წლებში. ასევე ამ პერიოდის რეპერტუარის გაცნობას, შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ტექსტური მასალის მოპოვებას, შესწავლა-დამუშავება-ანალიზს სტატისტიკურად, მაყურებლის სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებასა და შედეგების სტატისტიკურ ანალიზს.

***– რატომ გახდა აუცილებელი ამ პროექტის განხორციელება?***

– პროექტის განხორციელების აუცილებლობა ორმა ფაქტორმა განაპირობა: რეგიონულ თეატრებში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესების ამსახველი ინფორმაციის სიმწირემ, ელემენტარული სტატისტიკური მონაცემების და ინფორმაციის არ არსებობამ და კანონში ,,თეატრის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებებმა (2005 წელს).

***– უფრო კონკრეტულად?***

– პირველი ფაქტორის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას შეუძლებელია არ აღინიშნოს საქართველოში ბოლო ოცწლეულის განმავლობაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რამაც იმდენად უარყოფითად იმოქმედა თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, რომ დაეცა მისი მხატვრული დონე და შემცირდა მაყურებლის აქტივობა-ინტერესი, განსაკუთრებით დედაქალაქის გარეთ მომუშავე თეატრებში. ჩვენ 13 რეგიონული თეატრის მხატვრული დონის მეცნიერულ შესწავლას ვიწყებთ იმ პერიოდიდან, როდესაც რეგიონებში კულტურული ცხოვრება შედარებით გამოცოცხლდა. ამას მოჰყვა მართვის სისტემისა და ადმინისტრაციულ-შემოქმედებითი ხელმძღვანელობის შეცვლა 2004-2006 წლებში, თეატრებისთვის ბიუჯეტის გაზრდა და 2005 წელს ,,თეატრების შესახებ“ კანონის მიღება, ყოველივე ამან კი იქ მიმდინარე კულტურული პროცესების ახლებურად წარმართვას შეუწყო ხელი.

***– რა ღონისძიებებია გასატარებელი?***

– ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად მათი მხოლოდ სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტში განხილვა არ კმარა. საჭიროა თეატრებში განვითარებული შემოქმედებითი პროცესების მეცნიერული კვლევა-ანალიზი, მაყურებლის გამოკითხვა, სოციოლოგიური კვლევის შედეგების სტატისტიკური ანალიზი, რათა განისაზღვროს მომხმარებლის მოთხოვნილებები, გათვითცნობიერების დონე და პასუხობს თუ არა თანამედროვე ქართული თეატრი საზოგადოების მოთხოვნებს. შეკითხვებზე პასუხის გასაცემად კი, პროფესიული კრიტიკა, რომელიც ბოლო დროს ნაკლებად თანმიმდევრული იყო, აქტიური და მობილური უნდა გახდეს. ეს პროექტი სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მცდელობას წარმოადგენს.

***– რას მოგვცემს ამ პროექტის განხორციელება?***

– აღნიშნული პროექტის განხორციელება საჭირო იყო თუნდაც იმიტომ, რომ თეატრებს, რომლებიც რეგიონებში, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთ კულტურულ ცენტრს წარმოადგენენ, შემოქმედებითი პროცესის უკეთ წარმართვის სტიმული გაუჩნდეთ და ოდნავ მაინც შეივსოს ინფორმაციული ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ათწლეულების განმავლობაში წარმოიშვა და დაგროვდა. ფაქტიურად რეგიონულ თეატრებს, იშვიათი გამონაკლისების გარდა, ერთმანეთთან კომუნიკაცია არ აქვთ. დღეს ეს თეატრები პროფესიული თანმიმდევრული კრიტიკის გარეშე არის დარჩენილი. ეს ჭეშმარიტება ამ კვლევამაც დაადასტურა, უნდა გახშირდეს დარგის სპეციალისტების რეგიონებში ჩასვლის პროცესი და მათ ადგილზე მუშაობის საშუალება უნდა მიეცეთ. ამ პროცესში უნდა ჩაერთოს არა მხოლოდ თავად თეატრები, არამედ საქართველოს და ავტონომიური რესპუბლიკების კულტურის სამინისტროები, ადგილობრივი თვითმმართველობები. ამ მიმართულებით წარმართული პროცესები კი ხელს შეუწყობს, როგორც პროფესიული კრიტიკის განვითარებას, ასევე, 10 რეგიონულ თეატრში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების გაანალიზებას, შემოქმედებითი ჯგუფის პროფესიონალიზმის განსაზღვრას და ყოველივე ამის ისტორიულ კონტექსტში მოქცევას.



წინამდებარე გამოცემაში თავი მოიყარა პროექტის ფარგლებში დამუშავებულმა და გაანალიზებულმა მასალებმა, რომელიც დამუშავდა სტატისტიკურად და მოხდა მასალების სისტემატიზაცია, რაც ამ დარგის სპეციალისტებსაც დააინტერესებს და თეატრალურ გამოცემათა ჩამონათვალსაც გაამდიდრებს. გარდა ამისა, გამოცემა საშუალებას იძლევა, რეგიონულმა თეატრებმა ერთმანეთში გაცვალონ ინფორმაცია გამოცდილების, მიღწევების, დაშვებული შეცდომების, შემოქმედებითი ექსპერიმენტების შესახებ. გამოცემა, სოციოლოგიური კვლევის წარმოება და მისი სტატისტიკური ანალიზი ხელს შეუწყობს ამ თეატრების პოპულარიზაციას, არა მხოლოდ კონკრეტული რეგიონის ფარგლებში, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

შესაბამისად, წინამდებარე პროექტის მიზანი იყო 2010-2012 წლებში საქართველოს 13 რეგიონული თეატრის განვითარების პროცესის მეცნიერული შესწავლა, ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება, მათი პრაგმატული ანალიზი, მხატვრული ტენდენციების დადგენა და მათი პროფესიული კვლევა სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ასევე 2010-2012 წლებში საქართველოს რეგიონული თეატრების მაყურებლის აქტივობის სტატისტიკური კვლევა და განსაზღვრა: რა რაოდენობის მაყურებელი ჰყავდა ან ჰყავს ამ თუ იმ თეატრს და რა თემატიკის, ესთეტიკისა თუ შინაარსის სპექტაკლებისადმი იჩენდა ან იჩენს ინტერესს, ან პირიქით – გულგრილობას. საქართველოს რომელმა რეგიონულმა თეატრმა შეძლო მეტი მაყურებლის მოზიდვა და რა გზებს მიმართა ამისათვის? და ა.შ.

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემა დააინტერესებს ამ დარგის ისტორიის მკვლევრებს, სტუდენტებს, იმ სახელმწიფო სტრუქტურებსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც კულტურას კურირებენ ან ქართული თეატრის მონიტორინგს ახორციელებენ. ასევე, ამ სფეროში მომუშავე ჟურნალისტებსა და თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებულ პირებს. ანალიტიკურ-პუბლიცისტური მასალის გაცნობასთან ერთად, თეატრების წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობს ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის სტატისტიკური ანალიზი, რითაც უპირველესად ამ სფეროს მენეჯერები, თეატრის სოციოლოგები, ხელმძღვანელები, დამოუკიდებელი რეჟისორები და ა.შ. ისარგებლებენ. ეს კი ხელს შეუწყობს ახალი სარეპერტუარო პოლიტიკის შემუშავებას, მაყურებლისა და თეატრის ექსპერტთა მოთხოვნების გათვალისწინებას.

***– კონკრეტულ გამოკითხვებსა და რეიტინგებზე რას იტყვით?***

– გამოკითხულმა მაყურებელმა თავისი საყვარელი მსახიობები გამოავლინა. მსახიობთა საერთო რეიტინგი სქესის მიხედვით ასეთია: ქალი მსახიობები რუსკა მაყაშვილი (რუსთაველის თეატრი) 85-ჯერ, მარინა კახიანი (რუსთაველის თეატრი) 66-ჯერ, ნინელი ჭანკვეტაძე (თუმანიშვილის თეატრი) 32-ჯერ, გურანდა გაბუნია (მარჯანიშვილის თეატრი) 19-ჯერ, ეკა კახიანი, ია სუხიტაშვილი (რუსთაველის თეატრი) 15-ჯერ, ნანკა კალატოზიშვილი (მუსიკისა და დრამის თეატრი) 12-ჯერ, ქეთევან შარიქაძე (ჭიათურის თეატრი) 11-ჯერ, ლიკა კევლიშვილი (გორის თეატრი), ბელა კიკვაძე (ოზურგეთის თეატრი) 8-ჯერ, ლელა მებურიშვილი (მარჯანიშვილის თეატრი), მარიკა ბუკია (ფოთის თეატრი), თამარ ჯაჯანაშვილი (ჭიათურის თეატრი) 7-ჯერ, მარინა ჯანაშია (რუსთაველის თეატრი), მანანა ბერიძე (ახალციხის თეატრი), ანა ჩოგოვაძე (გორის თეატრი), ნათია მელაძე (ფოთის თეატრი), ნინო პაჭკორია, თამარ მდინარაძე (ოზურგეთის თეატრი) 6-ჯერ.

მამაკაცი მსახიობები: კახი კავსაძე (რუსთაველის თეატრი) 93-ჯერ, გივი ბერიკაშვილი (მარჯანიშვილის თეატრი) 64-ჯერ, გიორგი ვარდოსანიძე (მუ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კიევში ახალი ქართული კინოს ფესტივალი გაიმართება

ეკა ირემაშვილი

უკრაინის დედაქალაქში ახალი ქართული კინოს ფესტივალი მეცხრედ გაიმართება. 23-დან 27 ნოემბრის ჩათვლით კინოთეატრ „ჟოვტენში“ ფესტივალი ჩატარდება უკრაინის კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და უკრაინაში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დახმარებით. კინოფესტივალის ორგანიზატორია სრულიად უკრაინის საზოგადოებრივი გაერთიანება „გეორგია“ და უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“.

23 ნოემბერს გაიმართება ფესტივალის საზეიმო გახსნა, პრეს-კოქტეილი მასმედიის წარმომადგენლებისათვის, მინი-კონცერტი ქართული ცეკვების სახალხო ანსამბლ „იბერიელისა“ და სხვა შემოქმედებითი კოლექტივებისა და მომღერლების მონაწილეობით. ფესტივალის გახსნაზე ასევე მონაწილეობას მიიღებენ საბავშვო ევროვიზიის წლევანდელი ჯგუფი „ზი სმაილ შოფი“.

კინოფესტივალი გაიხსნება რეჟისორ ზაზა ურუშაძის ფილმის პრემიერით „მანდარინები“. ფილმი ქართულ ესტონური კოპროდუქციაა და მან „ევრიმაჟის“ დაფინანსებაც მოიპოვა. ფილმში ესტონელ მსახიობებთან ერთად მონაწილეობენ მიშა მესხი და გიორგი ნაკაშიძე. ფილმის მუსიკალურად გაფორმებაზე ნიაზ დიასამიძემ იზრუნა. მიუხედავად იმისა, რომ „მანდარინები“ სულ ახლახან გამოვიდა კინოთეატრებში, მან უკვე მოასწრო და საერთაშორისო კინოფესტივალებზე მთავარი პრიზები დაიმსახურა. კინოფესტივალის გახსნას დაესწრებიან უკრაინის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ტიმოფეი კოხანი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი უკრაინაში მიხეილ უკლება, საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის ერთ-ერთი დეპარტმენტის უფროსი დავით ვაშაძე, ასევე ცნობილი უკრაინელი და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რეჟისორები და მსახიობები.

5 დღის განმავლობაში კიევში ნაჩვენები იქნება როგორც ახალი ქართული კინოფილმები, ასევე საბჭოთა დროინდელი ძველი ფილმებიც. მათ შორის, დოკუმენტური ფილმი „ნეტავ იქ თეატრი არის?!“, რეჟისორი ნანა ჯანელიძე, ოპერატორი გიორგი ბერიძე, მხატვარი ზურაბ მიქელაძე, კომპოზიტორი მიშა მდინარაძე, კოსტიუმები ქეთევან ფალავანდიშვილის, ხმა და მონტაჟი ნიკო ტარიელაშვილის, პროდიუსერები ნანა ჯანელიძე და ირაკლი ტრიპოლსკი. ეს ფილმი ერთი ოჯახის თავგადასავალს გვიამბობს, კავსაძეების ოჯახის – კახის პაპის სანდროსი, მამის დათაშკასი და თვით კახის. ამ ოჯახის ისტორია, ერთი დიდი ქვეყნის ბედია, ქვეყნისა, რომელიც რუკაზე გაქრა და მალე ადამიანთა მეხსიერებაშიც აღარ იარსებებს. ფილმი არაერთი პრესტიჟული კინოფესტივალის გამარჯვებულია.

ფესტივალზე მოხვდა გიორგი შენგელაიას ფილმი „ფიროსმანი“, რომელიც ნიკო ფიროსმანის ცხოვრებას და შემოქმედებას ეძღვნება. სცენარის ავტორები ერლომ ახვლედიანი და გიორგი შენგელაია არიან. ფიროსმანის როლს ავთო ვარაზი ასრულებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ დოდო აბაშიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ბორის წიფურია, საშა რეხვიაშვილი, ამირ კაკაბაძე, ია ხობუა, გიორგი ჟუჟუნაშვილი. ფილმი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

საფესტივალოდ შერჩეულია „ქუჩის დღეები“. მისი რეჟისორი ლევან კოღუაშვილია. იგი კინოსტუდია „დამოუკიდებელი კინოპროექტის“ და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი პროდუქტია. ფილმის პროდიუსერები ლევან კორინთელი, გია ბაზღაძე და არჩილ გელოვანი არიან, სცენარის ავტორები ლევან კოღუაშვილი, ბორის ფრუმინი და ნიკა მარი. ფილმში მონაწილეობენ გუგა კოტეტიშვილი, თემო გოგიძე, ლევან ჟივიძე, ზურაბ ბეგალიშვილი, ალეკო ბეგალიშვილი, ზურა შარია, ლეო ანთაძე, ირაკლი რამიშვილი, ზაზა სალია, რუსიკო კობიაშვილი, ლია გუდაძე, გიორგი ყიფშიძე, გია გოგიშვილი, ნინო კაკაბაძე, სანდრო მინდიაშვილი, ეკა ჩხეიძე, ზაზა კოლელიშვილი და სხვები. ფილმის მთავარი გმირი 45 წლის თბილისელი ნარკომანი თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე დგას: კორუმპირებული პოლიციელები მისგან მეგობრის შვილის, 16 წლის ბიჭის და-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## განცხადებები

● სმენის დაქვეითების – სასმენი ნერვის ნევრიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, რადიკულიტის, სახსრების ანთების, შეუხორცებელი ჭრილობებისა და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟით. მიღება მხოლოდ წინასწარ ჩაწერით. ტელ: 599-97-85-46 ბ-ნი ლევანი.

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათკვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიზროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# განიავებული შანსი და თაობა

**საქართველო – სლოვაკეთი 1:3**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

1:0 ყაზაიშვილი (22), 1:1 მესაროში (25), 1:2 დუდა (62), 1:3 შრანცი (90)

**საქართველო:** ნადირაძე, კვეკვესკირი, კობახიძე, კვირკველია, უბილავა, პარუნაშვილი, ჯიღაური, ყაზაიშვილი, ანანიძე (პაპავა 46), ჭანტურია, ქვილითაია (სხირტლაძე 57)

**სლოვაკეთი:** ლე გიანი, პაუშეკი, ტეიშეირა, ჰროშოვსკი, დიომბერი, პაური, დუდა (სკვარკა 66), მესაროში (შაბო 90), მაზანი, შრანცი, მალეკი (მარჩინი 77)

ქართველ ახალგაზრდებს ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერ კიდევ ჰქონდათ, მაგრამ ალექსანდრე ჩივაძის ფეხბურთელები არც თუ მრისხანე მეტოქესთან, შინ დამარცხდნენ. ალექსანდრე ჩივაძის გუნდს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის არანაირი შანსი აღარ დარჩა. უკვე მერამდენედ ხდება ისე, რომ ქართველი ახალგაზრდები პრინციპულ მატჩში და თანაც საკუთარ კედლებში ვერ ახერხებენ გამარჯვების მოპოვებას. ამბიციები ბლომად გვაქვს, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, შესარჩევი ციკლის ბოლოს შერცხვენილები და იმედგაცრუებულები ვრჩებით.

გამოჩნდა ისიც, რომ სლოვაკეთი უკეთესად ორგანიზებული გუნდია – მათ ჰქონდათ უპირატესობა როგორც ტაქტიკურად, ასევე ფიზიკურად და სწორედ ამან განაპირობა მათი გამარჯვება.

წავაგეთ ცენტრი, რამაც დიდწილად განაპირობა მარცხი, ჩივაძე ცვლილებით შეეცადა მის გამოსწორებას, მაგრამ უარესი გამოუვიდა.

მე-5 წუთზე სლოვაკმა ფორვარდმა შრანცმა მშვენიერი შანსი ვერ გამოიყენა: პირისპირ გავიდა გიორგი ნადირაძესთან, მოატყუა და მახვილი კუთხიდან დაარტყა, თუმცა დავით უბილავამ იყოჩაღა და ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

მე-15 წუთიდან ჩვენებიც გააქტიურდნენ. გამოირჩეოდა გიორგი ჭანტურია, რომელმაც ორჯერ გაამწვავა სიტუაცია, მაგრამ კარს ააცილა, ხოლო მესამედ უკვე ვაკო ყაზაიშვილს გადააწოდა, რომელმაც ბურთი გაისწორა და საჯარიმოს მისადგომებიდან ცაციით დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა – 1:0.

თითქოს ყველაფერი უნდა დალაგებულიყო – ინდივიდუალურად ძლიერ ქართველ ფეხბურთელებს გაცილებით მეტი სივრცე უნდა შექმნოდათ, რაც მათ წისქვილზე დაასხამდა წყალს, მაგრამ 3 წუთში ყველაფერი შეტრიალდა – სლოვაკებმა მარჯვნიდან კარგი კომბინაცია წამოიწყეს, პაურმა დარტყმა ვერ მოახერხა, თუმცა მესაროშს ხელი ვეღარავინ შეუშალა და ნადირაძე უძლური იყო – 1:1.

ტაიმის ბოლო 20 წუთი ქართველთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა ჩანდა, რომ ეს უფრო ინდივიდუალური მოქმედებების შედეგი იყო, ვიდრე გუნდურისა. ისევ ჭანტურია გააქტიურდა, ორი მეტოქე ჩამოიცილა და საჯარიმოს მიახლოებულმა დაარტყა. რიკოშეტი და ბურთი ოდნავ ასცდა კარს.

მეორე ტაიმის დასაწყისში უკვე სლოვაკებმა მოუმატეს. ორჯერ გადარჩნენ ქართველები, მესამედ კი სლოვაკებმა გაიტანეს: ართმევაზე კარგად ითამაშეს, შემდეგ სწრაფად გაათამაშეს ბურთი, სწრაფად გაითამაშეს ბურთი და დუდამ შორიდან ცაციით გაისროლა, ბურთი გზად ქართველ ფეხბურთელს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და კარში აღმოჩნდა – 1:2. მალევე, ნადირაძემ გადაარჩინა გუნდი, როცა მალეკის თავური მოიგერია.

ქართველები ცოტა გამოფხიზლდნენ. 75-ე წუთზე კი ვნახეთ ეპიზოდი, როცა ბულგარელმა მსაჯმა პოპოვმა სტუმრები აშკარად დაინდო: გიორგი ჭანტურია მეკარესთან პირისპირ დარჩა, მცველი წამოეწია და ეუხეშა, პოპოვმა კი, ვითომც არაფერიაო, თამაში გააგრძელებინა. აშკარა პენალტი იყო და ამასთან, სლოვაკი წითელ ბარათს იმსახურებდა.

მომენტები კიდევ იყო: ყაზაიშვილმა ახლო კუთხეში დაურტყა მეკარეს და მანაც რთული ბურთი მოიგერია, შემდეგ კი სტუმართა მეკარემ ჭანტურიას დარტყმული ბურთი კუთხურზე მოიგერია. მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში გოლი მაინც გავიდა, მაგრამ ქართველთა კარში... მარჩინმა მარცხენა ფლანგზე მიიღო ბურთი, საბა კვირკველია იოლად მოატყუა და საჯარიმოში შეაგორა ბურთი, იქ კი შრანცმა იმარჯვა და ზუსტად დაარტყა – 1:3.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სლოვაკეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 17:6 | 13 |
| 2.ჰოლანდია | 4 | 3 | 1 | 0 | 13:2 | 10 |
| 3.შოტლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| 4.საქართველო | 6 | 2 | 1 | 3 | 7:12 | 7 |
| 5.ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 1:17 | 0 |

# ქეცბაიამ და ჟურნალისტებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ დავით მინაშვილის გადაცემა „საფეხბურთო მიმოხილვაში“ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. თუმცა კითხვა-პასუხის რეჟიმი ნაკლებად გამოვიდა. სამწუხაროდ, იმ მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხი, რომელიც გულშემატკივარს აინტერესებს, იმ ქაოსში ჩაიკარგა, რაც გადაცემის მსვლელობის დროს სტუდიაში ხდებოდა. 4 წელია ნაკრებს ქეცბაია თავკაცობს და ამ პერიოდში იგი ჯერ კიდევ ვერ მიეჩვია ქართველ ჟურნალისტებთან ურთიერთობას. გასაგებია, ზოგჯერ ღიზიანდება, ზოგჯერ „სულელურ“, ზოგჯერ კი აზრიან კითხვასაც უსვამენ, მაგრამ ის აგრესია, რაც მისი მხრიდან ამხელა დოზით მოდის, ნამდვილად არ არის არც სასიამოვნო. მისი ვალია, ნაკრების წარმატება-წარუმატებლობა თავისი პირით, ვაჟკაცურად და ალალად შეაფასოს. მან დაგვანახოს ის პრობლემები, რომლებიც ნაკრებს, სამწუხაროდ, მრავლად აქვს და ღიად ისაუბროს ყველა იმ ხელისშემშლელ ფაქტორზე, რომელიც მას აქ მუშაობის დროს ექმნება.



დამსწრე ჟურნალისტთაგან უმრავლესობამ კითხვის დასმა მხოლოდ გადაცემის დასრულების შემდეგ მოახერხა.

– შეხვდით თუ არა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას, რომელიც მის საქართველოში ჩამოსვლამდე აცხადებდა, რომ ნაკრების მწვრთნელის მიმართ კითხვები ჰქონდა.

– მოქმედი კონტრაქტი მაქვს. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ 4 წლის განმავლობაში ვიქნებოდი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ვაგრძელებ მუშაობას. ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, თუკი ამ თემაზე ვინმეს მოუნდება საუბარი, ჩვენ მზად ვართ ვისაუბროთ. თავიდანვე იყო შეთანხმება, რომ 4-წლიან ციკლზე ვიმუშავებდით და არა 2-ზე. იყო 2 პლუს 2-ზეც საუბარი, თუმცა საბოლოოდ ამაზე შევთანხმდით. მინდა ნაკრები მოვამზადო იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ამდენი შრომა ჩავდეთ და ახლა უნდა გადავაბაროთ სხვას? სხვა სანამ მოვა, სანამ გაიგებს... ეს გეგმა შემუშავებული იყო, ამიტომ ვაგრძელებ მუშაობას. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ შედეგი არ არის, მაგრამ ვის არ უნდა შედეგი? ვის არ უნდა, რომ ფინალურ ეტაპზე გავიდეს გუნდი? წინსვლა რომ არის, მაგას თქმა არ უნდა. თუ არ გვინდა, ვერ დავინახავთ.

***– ხომ არ გრძნობთ სპორტის სამინისტროსგან რაიმე ზეწოლას?***

– ამ თემაზე რომ არის საუბარი, ალბათ ამის უკან ვიღაც დგას. ყველაფერს რეალურად უნდა შევხედოთ. კონკრეტულად მე არ ვიცი, მაგრამ, რადგან ამ თემაზე საუბრობენ, ე.ი. ამის მიზეზიც არსებობს.

***– როცა ნაკრებს ჩაუდექით სათავეში, კონკრეტული მიზნები დასახეთ. ისევ ამ მიმართულებით გააგრძელებთ მუშაობას?***

– მიზანი ის იყო, რომ მომდევნო შესარჩევი ეტაპისთვის გუნდი მესამე ადგილისთვის იბრძოლებს. შესარჩევ ეტაპებზე გუნდი მეექვსედან მეხუთეზე, შემდეგ მეოთხეზე ავიყვანეთ. ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ. გეჩქარებათ? არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც თამაშის შანსი მივეცით. სანამ შესარჩევი ეტაპი დაიწყება, წინ კიდევ ერთი წელიწადია. ამ დროისთვის ბიჭები უფრო გაიზრდებიან და მზად იქნებიან იმისთვის, რომ პლეი ოფში გავიდეთ და გვქონდეს იმის შანსი, რომ ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზოთ.

***–რაიმე გეგმა ხომ არ გაქვთ შემუშავებული ფეხბურთელებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად ტრავმებს ასახელებენ იმის მიზეზად, რომ შეკრებებზე ვერ ჩამოდიან?***

– ტრავმებთან დაკავშირებით არაფერი იქნება შემუშავებული. ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში იქნება გამოძახებული, არჩამოსვლის მიზეზად კი ტრავმას დაასახელებს და შემდეგ თავის კლუბში ითამაშებს, აღარ გამოვიძახეთ. არის შემთხვევები, როცა მოთამაშეებს რეალური პრობლემები აქვთ, მაგრამ ჩვენ რომ დავინახავთ, რომ მას პრობლემა არ აქვს და თავის გუნდში თამაშობს, თავს იკლავს, ასეთი ფეხბურთელი არა მარტო მე, არამედ არც სხვა მწვრთნელს და არც თქვენ, ჟურნალისტებს არ მოგინდებათ.

***– ერთ-ერთი მიზეზი ფეხბურთელების ნაკრებში არჩამოსვლისა, რომელზეც ხშირად საუბრობენ, მოთამაშეებსა და თქვენ შორის კომუნიკაციის პრობლემაა.***

– კომუნიკაციის პრობლემა ვისთან უნდა მქონდეს? იმ ფეხბურთელების უმრავლესობა, რომლებიც ნაკრებში თამაშობენ, 90 პროცენტი ჩემი მიყვანილია. გეთანხმებით, არიან ისეთი ფეხბურთელები, რომლებთანაც ეს პრობლემა არის. ფეხბურთელი, რომელიც ითამაშებს ნაკრებში, მეორე დღეს კი გამოვა და იტყვის, სანამ ქეცბაია იქნება, ნაკრებში მე არ ვითამაშებო, რა უნდა ვთქვა?

***– რატომ იქმნება ამ ფეხბურთელებთან მსგავსი პრობლემა?***

– მე არ ვიცი, მათ ჰკითხეთ, რატომ არის ეს პრობლემა. ჩემგან არაფერი, მე პირიქით, მოვიყვანე ნაკრებში, მივეცი თამაშის საშუალება. მან ეს ვერ გაიგო. უმადური ხალხი ვართ. არაფრის დაფასება არ გვინდა. ჩვენ გვიდა ერთმანეთს ვენდოთ. ფეხბურთელმა რომ არ მოგვატყუოს, თუ მას არ უნდა თამაში, ის მაინც მოიგონებს მიზეზს და არ ითამაშებს. ჩვენ გვინდა, რომ ფეხბურთელებს უნდოდეთ აქ ჩამოსვლა.

# 19-წლამდელებმა ჰოლანდიას რევანში აუღეს

**საქართველო – ჰოლანდია 2:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 პაპუნაშვილი (11), 1:1 ჟივკოვიჩი (45), 2:1 აბურჯანია (52)

**საქართველო:** ქურდაძე, კაკაბაძე, გურეშიძე, ჭანტურია, თევზაძე (სამხარაძე 90), ცინცაძე, აბურჯანია, პაპუნაშვილი (გოროზია 70), კერძევაძე, კიკაბიძე (ახვლედიანი 86), ზარანდია

**ჰოლანდია:** ოლი, კარსდორპი, ლუკასენი, ჰენდრიქსი, რიდეველდი (ჰესაკერსი 64), ბაზოერი (ვლოეტი 71), ბასაჩიკოლლუ, ლემანსი, ჟივკოვიჩი, კაბრალი, სანო (აკოლასტე 57)

საქართველოს 19-წლამდე ნაკრები, ევროშესარჩევის ბოლო მატჩში ჰოლანდიის დამარცხებით ჯგუფის პირველადგილოსანი გახდა და რევანშიც ღირსეულად აიღო.

როგორც იცით, ეს ის ჰოლანდიის ნაკრები გახლდათ, რომელთანაც ვასილ მაისურაძის გუნდმა 2012 წლის 13 მაისს, 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში, დრამატულ ბრძოლაში წააგო. დღეს კი, ჰოლანდიის ნაკრები მხოლოდ საქართველოსთან არ დამარცხდა. „ნარინჯისფერები“ სრულიად მოულოდნელად ჯგუფში ჩარჩნენ, რადგან პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში, უელსმა სასურველი ანგარიშით – 6:0 დაამარცხა მოლდოვა. ასე რომ, 4-4 ქულიან ჰოლანდიასა და უელსს შორის, ტურნირის რეგლამენტის თანახმად, უპირატესობა უელსს მიენიჭა, რადგან მათ კონკურენტს გატანილი ბურთებით აჯობეს და თან, ჰოლანდიასთან ფრე ჰქონდათ ნათამაშები.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად საქართველოს ნაკრებს ქულაც ჰყოფნიდა, გუნდმა ბოლომდე, თავდადებით იბრძოლა და სასურველ შედეგს მიაღწია.

ჩვენმა ფეხბურთელებმა ანგარიშის გახსნა უკვე მე-11 წუთზე შეძლეს. ლუკა კიკაბიძის დარტყმული ოლიმ მოიგერია; დამატებაზე კი, გიორგი პაპუნაშვილმა იმარჯვა და შორეულ კუთხეში გაიტანა. ტაიმის ბოლოს, ჰოლანდიელებმა ანგარიშის გათანაბრება შეძლეს და გუნდები შესვენებაზე საყაიმო ანგარიშით გავიდნენ.

თუმცა, მეორე ტაიმის საწყისი წუთებიდანვე, საქართველოს ნაკრები ინიციატივას დაეუფლა, რაც 52-ე წუთზე, გიორგი აბურჯანიას გატანილი გოლით დაგვირგვინდა. ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით, ნაკრების ნახევარმცველმა თითქმის ნახევარი მოედანი გადაკვეთა და დაბნეული მცველების გარემოცვაში მყოფმა ახლო კუთხეში გაიტანა.

მატჩის ბოლო წუთებმა დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. თუმცა, სწორად დაგეგმილი თამაშის წყალობით, ვასილ მაისურაძემ მშვიდად შეძლო საფინალო სასტვენამდე თავისი გუნდის მიყვანა.

ჩვენმა ფეხბურთელებმა ეს წარმატება მოედანზევე აღნიშნეს და სტადიონზე მოსულ გულშემატკივარს მადლობა გადაუხადეს.

**მატჩის შემდეგ**

**ვასილ მაისურაძე:**

– მადლობა ბიჭებს, მადლობა ჩემს სამწვრთნელო შტაბს და მთელ შტაბს. ჩვენ გვქონდა მიზანი, რომელსაც მივაღწიეთ. ჰოლანდია ევროპული ფეხბურთის ფლაგმანია და მისი დამარცხება იოლი არაა. ეს ქართული ფეხბურთის წარმატებაა. ჩვენ გვაქვს რესურსი, რომ უფრო მოვუმატოთ და ელიტრაუნდშიც ღირსეულად ვიასპარეზოთ.

28 ნოემბერს კი, უეფაში 17 და 19-წლამდელთა ელიტრაუნდების წილისყრა გაიმართება, სადაც ამ ორ ასაკში, ჩვენი მომავალი მეტოქეების ვინაობა გაირკვევა.

# ლევან კობიაშვილი ბაქოსა და ალექსანდრე იაშვილს ესტუმრა



ბერლინის „ჰერტას“ მცველმა ლევან კობიაშვილმა მოკლევადიანი შვებულებით ისარგებლა და ბაქოში მეგობარ ალექსანდრე იაშვილს ესტუმრა. კობიაშვილი „ინტერისა“ და „სუმგაითის“ მატჩს დაესწრო, რომელიც კახა ცხადაძის გაწვრთნილებმა 8:3 მოიგეს. მისმა მეგობარმა იაშვილმა გოლი და საგოლე პასი მიითვალა.

ცხადია, კობიაშვილის სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს და ინტერვიუც ჩამოართვეს.



***– ბაქოში თქვენი სტუმრობის მიზანი რა არის, როგორ მოხვდით „ინტერისა“ და „სუმგაითის“ მატჩზე?***

– აქ ჩემს მეგობართან, ალექსანდრე იაშვილთან ჩამოვედი. მასთან დიდი ხანია მეგობრობა მაკავშირებს. ჩვენ ერთად ჯერ თბილისის „დინამოში“ ვთამაშობდით, ხოლო შემდეგ გერმანულ „ფრაიბურგში“. ასევე, დიდი ხნის განმავლობაში საქართველოს ნაკრებში გამოვდიოდით. მე და ალექსანდრე ძმებივით ვართ. ახლა, სანაკრებო მატჩების გამო, ჩემპიონატში მცირე პაუზა გვაქვს და გუნდი 3 დღით დაასვენეს. ამ დროის გატარება ჩემს ახლო მეგობართან გადავწყვიტე. შევატყობინე, რომ ვესტუმრებოდი და ბაქოშიც ასე აღმოვჩნდი. ჩვენ ერთმანეთთან ხშირად ვსტუმრობდით, როდესაც გერმანიაში სხვადასხვა კლუბებში ვთამაშობდით.

***– აზერბაიჯანის დედაქალაქმა ბაქომ თქვენზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა?***

– ბოლოს ბაქოში 10 წლის წინ ვიყავი. სიმართლე გითხრათ, ამ დროის განმავლობაში თქვენს დედაქალაქში მომხდარი ცვლილებები მომეწონა. ქალაქი ძალიან გალამაზდა და ძალიან ბევრი საინტერესო ადგილია. საფეხბურთო სფეროში განხორციელებული ცვლილებებიც მომეწონა. ბაქოში ბევრი სტადიონია, ბევრი კონკურენტუნარიანი გუნდია, რაც ადგილობრივი ჩემპიონატის განვითარებას ხელს უწყობს. კარგია, რომ აზერბაიჯანში ასეთი პირობები იქმნება.

***– აზერბაიჯანულ ფეხბურთზე კიდევ რა იცით? იქნებ ალექსანდრე იაშვილმა რამე მოგიყვათ?***

– მართალი გითხრათ, აზერბაიჯანის ნაკრებზე მწირი ინფორმაცია მაქვს, მაგრამ თქვენს ჩემპიონატზე რაღაც ვიცი. ინტერნეტის საშუალებით „ინტერის“ მატჩებს თვალს ვადევნებ. ვცდილობ ალექსანდრე იაშვილის თამაშს ვუყურო. „ინტერს“ კახა ცხადაძე ხელმძღვანელობს, რომელთანაც აგრეთვე მეგობრული ურთიერთობა მაქვს. გუნდის ზოგიერთ სხვა ფეხბურთელსაც ვიცნობ. „ინტერს“ ვგულშემატკივრობ და მიმდინარე სეზონში გუნდს წარმატებას ვუსურვებ.

***– ბერლინის „ჰერტაში“ თქვენი საქმე როგორ მიდის?***

– საქმე არც თუ ცუდად მიდის. ამ სეზონის დასრულების შემდეგ, „ჰერტასთან“ კონტრაქტი მეწურება, მაგრამ ამჟამად მთლიანად კონცენტრირებული ამ გუნდზე ვარ.

***– იქნებ კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ ალექსანდრე იაშვილს შეუერთდეთ?***

– არ ვიცი, არ ვიცი. ამის შესახებ ჯერ არ მიფიქრია. როგორც უკვე ვთქვი, ახლა მხოლოდ „ჰერტაზე“ ვფიქრობ და მომავალში რა იქნება, არ ვიცი.

## შედეგები

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბრუკლინი-პორტლენდი | 98:108 |
| ოკლაჰომა-დენვერი | 115:113 |
| ჩიკაგო-შარლოტი | 86:81 |
| დალასი-ფილადელფია | 97:94 |
| იუტა-გოლდენ სტეიტი | 87:98 |
| კლიპერსი-მემფისი | 102:106 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-ბოსტონი | 1:4 |
| პიტსბურგი-ანაჰაიმი | 3:1 |
| ვინიპეგი-კალგარი | 4:4(0:1ბ) |

მოამზადა მიხეილ ყორღოლაძემ

# საქართველოს პატრიარქს გამოფენას მიუძღვნიან

ეკა ირემაშვილი



21 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიხსნება დეკანოზ ანდრია ნაცვლიშვილის პერსონალური გამოფენა, რომელიც ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ფერწერასა და გრაფიკაში შესრულებული 80 ნამუშევარი. ექსპოზიციის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი. გამოფენა, რომელზეც დასწრება თავისუფალია, 24 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ამავე ცენტრში უკვე გაიმართა დეკანოზ თავმას ჩოხელის ახალი კრებულის „მამის იავნანა – სიყვარულის წიგნი" წარდგინება. წიგნში შესულია ავტორის ძველი და ახალი ლექსები, ასევე, ყველა ის ლექსი, რომელზეც სიმღერებია შექმნილი. ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. საღამოზე შესრულდა მოძღვრის ლექსებზე შექმნილი სიმღერებიც.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში ასევე მოეწყო წიგნის „ბიო-ბიბლიოგრაფიისა და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მოღვაწეობის შესახებ, 1977-2007 წლების პერიოდიკის მიხედვით" წარდგინება.

– წიგნი გამოსაცემად მომზადდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში. რედაქტორია მამა თეიმურაზ თათარაშვილი, კონსულტანტი ეროვნული ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ბიბლიოგრაფი დოდო პაპუაშვილი, რეცენზენტი თბილისის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ ჭელიძე, ავტორნი და შემდგენელნი ნანა კაჩუხაშვილი და ნატო ფურცელაძე, დიზაინი და დაკაბადონება ლელა ბოჭორიშვილი, ფოტოები კი ლუარსაბ ტოგონიძის კოლექციიდან არის გამოყენებული. ნაშრომი დაიბეჭდა გამომცემლობაში „ქართული აკადემიური წიგნი" საპატრიარქოს ბიბლიოთეკის თანამშრომლის თამარ გერმანიშვილის ღვაწლით და მეტეხის ღვთისმშობლის შობის ტაძრის განმგებლის, მონოზონ ევსევიას (ჩოხელი) დაფინანსებით, – აღნიშნა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

მისივე თქმით, იდეა პატრიარქზე ბიბლიოგრაფიის შედგენისა ეკუთვნის უთვალსაჩინოეს ქართველ ბიბლიოგრაფ თამარ დონდუას, კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას შვილიშვილს, რომელსაც არ დასცალდა ამ კრებულის გამოცემა.

– ამ კრებულში თავმოყრილია მასალა ანოტირებული სტატიების, პატრიარქის მქადაგებლობის, ქველმოქმედების, მხატვრული შემოქმედების, მომლოცველობის და სხვა მრავალი მოუღლელი საქმიანობის შესახებ, სადაც თვალნათლივ ჩანს მისი ყოველდღიური შრომა, ღვაწლი საქართველოსა და ქართველი ერის სამსახურში, – განმარტავს ცენტრის წარმომადგენელი.

ბიბლიოგრაფიაში ქართულ და რუსულ მასალას დართული აქვს ბიბლიოგრაფია უცხოური გამოცემებიდან, რომლებიც საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში პატრიარქისათვის საჩუქრად გამოგზავნილი პერიოდიკის სახით შემოდიოდა და შევსებულია ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდული გამოცემებიდან. წიგნში ასევე შესულია ავტორის მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი ჩანახატები მისი უწმინდესობის პორტრეტისათვის.

# როგორია თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სიკისა და დრამის თეატრი) 37-ჯერ, მურმან ჯინორია (რუსთაველის თეატრი) 29-ჯერ, ზურა ყიფშიძე (თუმანიშვილის თეატრი) 28-ჯერ, გიორგი ყიფშიძე (თუმანიშვილის თეატრი) 25-ჯერ, ჟანრი ლოლაშვილი (რუსთაველის თეატრი) 23-ჯერ, თენგიზ არჩვაძე (მარჯანიშვილის თეატრი), ჯანო იზორია (ფოთის თეატრი) 16-ჯერ, დუტა სხირტლაძე (მარჯანიშვილის თეატრი) 14-ჯერ, ზაზა პაპუაშვილი (რუსთაველის თეატრი), როდენ ჩაჩანიძე (ჭიათურის თეატრი), ბაჩო ქაჯაია (გორის თეატრი) 12-ჯერ.

რაც შეეხება სხვა სტატისტიკებს, 2010-12 წლებში საქართველოს თეატრებში პრემიერების რიცხვი ასეთია: რუსთავი 10, მესხეთი 27, გორი 18, თელავი 12, სენაკი 8, ფოთი 7, ზუგდიდი 10, ზესტაფონი 12, ჭიათურა 12, ქუთაისი 16, ოზურგეთი 10, ხულო 7, ბათუმის მოზარდი 12, ბათუმი 12. ნათამაშები სპექტაკლების რაოდენობა: რუსთავი 7, მეხეთი 173, გორი 246, თელავი 43, სენაკი 115, ფოთი 145, ზუგდიდი 120, ზესტაფონი 78, ჭიათურა 138, ქუთაისი 181, ოზურგეთი 161, ხულო 100, ბათუმის მოზარდი 407, ბათუმი 124. თეატრების შემოსავლები ბილეთებიდან: რუსთავი 3.416, მეხეთი 37.382, გორი 18.353, თელავი 35.701, სენაკი 3.900, ფოთი 15.269, ზუგდიდი 47.688, ზესტაფონი 10.886, ჭიათურა 15.685, ქუთაისი 33.212, ოზურგეთი 2.761, ხულო 800, ბათუმის მოზარდი 105.917, ბათუმი 59.204. დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა: რუსთავი 1.613, მესხეთი 16.573, გორი 6.609, თელავი 11.245, სენაკი 20.000, ფოთი 9.556, ზუგდიდი 28.060, ზესტაფონი 9.368, ჭიათურა 8.120, ქუთაისი 9.956, ოზურგეთი 15.900, ხულო 5.360, ბათუმის მოზარდი 49.800, ბათუმი 6.649. მონაწილეობა ფესტივალებში და გასტროლები: ყველაზე მეტი აქტიურობით გამოირჩევა ბათუმის მოზარდი, მათ შორის გასტროლებით ქვეყნის შიგნით, გასტროლებით ქვეყნის გარეთ და ფესტივალებში მონაწილეობითაც.

***– როგორია ქართველ რეჟისორთა რეიტინგი?***

– რეჟისორთა რეიტინგი ქალაქების მიხედვით ასეთია: ბათუმი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, დათო დოიაშვილი; ხულო რობერტ სტურუა როინ სურმანიძე, დათო დოიაშვილი; ოზურგეთი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, სოსო ნემსაძე; ქუთაისი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, გიორგი სიხარულიძე; ჭიათურა სოსო ნემსაძე, ანდრო ენუქიძე, რობერტ სტურუა; ზესტაფონი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, დათო დოიაშვილი; ზუგდიდი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, ბადრი წერედიანი; ფოთი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, დათო დოიაშვილი; სენაკი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, ავთო ვარსიმაშვილი; თელავი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, გოგი ჩაკვეტაძე; მესხეთი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, ავთო ვარსიმაშვილი, სოსო ნემსაძე; რუსთავი რობერტ სტურუა, ლევან წულაძე, გოჩა კაპანაძე. რეჟისორთა საერთო რეიტინგი კი ასეთია: რობერტ სტურუა 282, ლევან წულაძე 240, დათო დოიაშვილი 88, ავთო ვარსიმაშვილი 85, გოჩა კაპანაძე 63, სოსო ნემსაძე 102, გიორგი თავაძე 56, გიორგი შალუტაშვილი 13, ანდრო ენუქიძე 5, გიორგი სიხარულიძე 13, როინ სურმანიძე 19, დავით საყვარელიძე 17, დათა თავაძე 14, თემურ ჩხეიძე 16, ბადრი წერედიანი 13, კოტე აბაშიძე 11.

გარდა ამისა, გამოცემის პრეზენტაციაზე დასახელდება 5 ყველაზე წარმატებული, ეფექტური თეატრი, ყველაზე პოპულარული მსახიობები და რეჟისორები. საქართველოს მასშტაბით სულ 750 მაყურებელი გამოიკითხა.

# კიევში ახალი ქართული კინოს ფესტივალი გაიმართება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბეზღებას ითხოვენ. თუ დათანხმდება წამლით და ფულით დაასაჩუქრებენ, ხოლო თუ უარს იტყვის, 10 წლით გაუშვებენ ციხეში და ამით მისი ცხოვრება პრაქტიკულად დასრულდება. ფილმი ვისბადენის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელია.

კიევში ასევე ნაჩვენები იქნება რუსუდან პირველის „სუსა". ფილმის მწარმოებელი კომპანიაა „კავკასიური ფილმოდრომი", „ქართული ფილმი" და ეროვნული კინოცენტრი. „სუსას" სცენარის ავტორია გიორგი ჩალაური. ფილმში მონაწილეობენ ავთანდილ თეთრაძე, გია გოგიშვილი, ლევან ლორთქიფანიძე, ეკატერინე კობახიძე, გივი ქართველიშვილი, ვიქტორ ქსოვრელი. ფილმის სინოფსისი ასეთია: იმედი და მოლოდინი ძალას მატებს ადამიანს, მაგრამ როდესაც ილუზიებს რეალობა ამსხვრევს, 12 წლის ბიჭი სწრაფად იზრდება. სუსა 12 წლისაა და ყველა სხვა ბიჭის მსგავსად თამაში უყვარს, მაგრამ მის ყოველდღიურ ცხოვრებას არყის სახდელ არალეგალურ საამქროში მუშაობა შეადგენს. მას არყის მიწოდება ევალება ალკოჰოლის მომხმარებელი პატარა კაფეებისა და ჯიხურებისთვის, ზოგჯერ კი მეძავებისა და ლოთებისთვის. შემოსავლის ნაწილს ის ქუჩის კრიმინალებს უხდის და ცდილობს თვალში არ მოხვდეს პოლიციელებს. ერთხელ დედა ეტყვის, რომ დიდი ხნის უნახავი მამა ბრუნდება. იმ იმედით, რომ თითქმის უნცობი მამა სხვაგან წაიყვანს, სუსა ყველა ღონეს ხმარობს ძველ ცხოვრებას დაემშვიდობოს. რუსუდან პირველის ფილმი არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია.

საფესტივალო პროგრამაშია ქართული კინოს კლასიკა „ქეთო და კოტე". ის მუსიკალური კომედიაა და მასში ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავები არიან გაერთიანებული. მათ შორის მედეა ჯაფარიძე, ბათუ კრავეიშვილი, სერგო ზაქარიაძე, პეტრე ამირანაშვილი, გიორგი შავგულიძე, სანდრო ჟორჟოლიანი, ვერიკო ანჯაფარიძე, აკაკი კვანტალიანი, ვასო გოძიაშვილი, ედიშერ მაღალაშვილი და სხვები. ფილმი გადაღებულია ავქსენტი ცაგარელის კომედია „ხანუმას" და ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს" მიხედვით.

„მანდარინები" არ არის ერთადერთი ფილმი, რომლითაც ზაზა ურუშაძე უკრაინელი მაყურებლის წინაშე წარდგება. ფესტივალზე ნაჩვენები იქნება მის მიერ გადაღებული „ბოლო გასეირნება". ის ტრილოგიის დასკვნითი ნაწილია და სტუდია „სანგუკოს", დამოუკიდებელი კინოსერვისის, მილიმეტრ ფილმის და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი ნამუშევარია. პროდიუსერები არიან ლევან კორინთელი, გუკა რჩეულიშვილი, სულიკო წუკიძე და ლაშა ხალვაში. სცენარის ავტორები არიან უტა ბერაია, ირაკლი სოლომანაშვილი და ლევან კორინთელი, კომპოზიტორი ნიაზ დიასამიძე. მონაწილეობენ კახა აბუაშვილი, მიშა მესხი უმცროსი, თაზო ცხაკაია, ნუცა კუხიანიძე, თიკო დალაქიშვილი, სანდრო კაკულია, ლევან დობორჯგინიძე, ზურაბ ბეგალიშვილი, დავით ბეჟიტაშვილი, გიორგი ყიფშიძე. ფილმის გმირი ომგამოვლილი 90-იანელების ეგრეთ წოდებული „დაკარგული თაობის" წარმომადგენელია. ის 16-წლიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან გამოდის და ვერ ეგუება თანამედროვე ყოფას.

ქეთი მაჭავარიანის ფილმი „მარილივით თეთრი" ასევე საფესტივალო ფილმების ჩამონათვალშია. ის შპს კინოსტუდია „დამოუკიდებელი კინოპროექტის" და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი პროდუქტია. რეჟისორი და სცენარის ავტორი ქეთი მაჭავარიანია, კომპოზიტორი გიორგი ცინცაძე, პროდიუსერები ჯაგა გრიპი, გია ბაზლაძე და ლევან კორინთელი. ფილმში მონაწილეობენ ნინო ქორიძე, ფეა ცივაძე, გაგი სვანიძე, გიორგი ყიფშიძე, ნესტან (ნენე) კვინიკაძე, გიორგი გიორგანაშვილი. ფილმში ასახულია XIX საუკუნის დასაწყისის საქართველო. ნინოს და ნანას ჩაკეტილ მექანიკურ სამყაროში შეჭრილ მაწანწალა სოფოს ახალი მუხტი შეაქვს და ერთი ადამიანის – ნინოს გაღვიძებას მაინც ახერხებს.

კიევში გამართულ ფესტივალს დაასრულებს რუსუდან ჭყონიას „გაიღიმეთ", რომელიც ჟანრობრივად ტრაგიკომედიაა. ამ ფილმზე მუშაობისას რეჟისურასთან და პროდიუსერობასთან ერთად რუსუდან ჭყონიამ მემონტაჟეობა და სცენარის ავტორობაც შეითავსა. ფილმის პროდიუსერი რეჟისორთან ერთად ნიკოლას ბლანკიცაა. ფილმში მონაწილეობენ ია სუხიტაშვილი, ნანა შონია, თამარ ბუხნიკაშვილი, ეკა ქართველიშვილი, შორენა ბეგაშვილი, ოლგა ბაბლუანი, მაკა ჩიჩუა, ლელა მეტრეველი, თამარ ბზიავა, ია ნინიძე, გია როინიშვილი, ზურა მაღალაშვილი, ფიქრია ნიქაბაძე, თორნიკე ბზიავა, ბექა ელბაქიძე, დავით ქაცარავა, ავთანდილ გოგეშვილი, მერი გვენცაძე. ფილმი საქართველოს, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის კოპროდუქციას წარმოადგენს. მისი სცენარი ეროვნული კინოცენტრის 2010 წლის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის გამარჯვებულია. ფილმში ათი მრავალშვილიანი ქალი იბრძვის სილამაზის კონკურსის მოსაგებად, სადაც პრიზი ბინა და 25 ათასი დოლარია. ფილმი არაერთი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის გამარჯვებულია.

ახალი კინოს ფესტივალი კიევში 27 ნოემბერს საზეიმოდ დაიხურება.

# ირაკლი ჩარკვიანი 52 წლის გახდებოდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ზე ცნობილი სიმღერებია „ვიცი რომ", „აქ ხარ" და „ნანასი". ამ პერიოდში ირაკლი ჩარკვიანი მუშაობდა შინაურ სტუდიაში ბევრ ახალ სიმღერაზე და საკმაოდ ხშირად იღებდა ახალ ვიდეოკლიპებს საკუთარ სიმღერებზე. სწორედ ამ პერიოდიდან მან საკუთარ ფსევდონიმად „მეფე" აირჩია. ირაკლი ჩარკვიანმა იმუშავა მუსიკაზე კინოფილმისათვის „ორფეოსის სიკვდილი".

მუსიკოსი 7 წლის წინ საკუთარ სახლში 45 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის ხსოვნას სპეციალური ალბომი მიუძღვნეს ცნობილმა მუსიკოსებმა, ჯგუფებმა „33ა", „მწვანე ოთახი", „აუტსაიდერი", „ვაკის პარკი", „ზი იანგ ჯორჯიან ლოლიტას", „ზუმბა", მომღერლებმა ბაკურ ბურდულმა, გიგა მიქაბერიძემ და სხვა შემსრულებლებმა. დისკს „ქალალდის გემი – თრიბიუთ ალბომი" ეწოდება.

მისი მეუღლის ქეთათო ჩარკვიანისა და მეგობრების ინიციატივით შეგროვდა მუსიკოსის სიცოცხლეში ჩაწერილი უკანასკნელი მუსიკალური მასალა და გამოიცა მისი ბოლო სტუდიური ალბომი „ძირს მეფე". შემდგომში მსგავსი სახით გამოჩნდა გამოუცემელი მასალის კიდევ ერთი კრებული „თეთრი ღმერთი".

# გერმანული ფოტოგრაფია ისტორიის მუზეუმში

ეკა ირემაშვილი

20 ნოემბერს უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტი და გოეთეს ინსტიტუტი საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით წარმოადგენენ ფოტოგამოფენას „რეალური სივრცე. კონცეპტუალური სივრცე – 90-იანი წლების გერმანული ფოტოგრაფია". გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) გაიხსნება.

– აღნიშნული გამოფენა, რომლის კურატორიც არის უტე ესკილდსენი, უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის გამოფენათა სერიის „თანამედროვე გერმანული ფოტოგრაფიის ასპექტები" გაგრძელებაა და წარმოადგენს 90-იანი წლების გერმანელ ფოტოხელოვანებს. გამოფენაში „რეალური სივრცე. კონცეპტუალური სივრცე" სუზანე ბრიუგერის, თომას დემანდისა და ჰაიდი შპეკერის სამი განსხვავებული მეთოდით შექმნილი ნამუშევრებია გაერთიანებული, რომლებსაც ერთმანეთთან საჯარო სივრცე აკავშირებს, – აღნიშნავს გოეთეს კულტურული განყოფილების წარმომადგენელი თამთა გოჩიტაშვილი.

მისივე თქმით, ეს კავშირი ნათლად ვლინდება როგორც ჰაიდი შპეკერის ჩანახატოვან-აბსტრაქტულ არქიტექტურულ ფოტოებში, ისე სუზანე ბრიუგერის ქალაქის ზედხედებსა თუ თომას დემანდის კონსტრუირებულ ინტერიერებში:

– გამოფენის სათაურში „სივრცზე" ყურადღების გამახვილება, რომელიც კავშირშია „რეალობასა" და „გამოსახულებასთან" მიუთითებს ფოტოგრაფიის შესაძლებლობაზე – ასლის შექმნის საფუძველზე – სივრცე და დრო გარდაქმნას გამოსახულებად, – ამბობს თამთა გოჩიტაშვილი.

ამ ფოტოპროცესის შედეგი გამოფენაზე სუზანე ბრიუგერის 8 შავ-თეთრი, თომას დემანდის 7 დიდფორმატიანი ფერადი ფოტოგრაფიითა და ჰაიდი შპეკერის 12 ფერადი ნამუშევრით არის წარმოდგენილი.

– „რეალური სივრცე. კონცეპტუალური სივრცე" 1998 წლიდან დღემდე, ჯამში, 46 სხვადასხვა ქვეყანასა თუ ქალაქში დიდი წარმატებით იქნა გამოფენილი. გამოფენის გახსნას დაესწრება ხელოვანი, ჰაიდი შპეკერი, რომელიც 21 ნოემბრამდე სტუდენტებისათვის ჩაატარებს ვორკშოპს, – განმარტავს გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენელი.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. პოპულარული მუსიკალური საესტრადო ნაწარმოები; 2. ქალაქი ესტონეთში; 3. ავტოდრომი იტალიაში; 4. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 5. პატარა კაფე, სასაუზმე გერმანიაში; 6. ჩეხი მევიოლინე მამაკაცი; 8. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 10. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 11. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 14. ცხენოსანი მწყემსი აშშ-ში; 15. შოტლანდიის ეროვნული გმირი; 16. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო.

**თარაზულად:** 1. ხელის კუნთების სავარჯიშო სატანვარჯიშო იარაღი; 4. ფინეთის დედაქალაქი; 7. მდინარე რომში; 9. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 12. ღვინის ვაჭარი ძველად; 13. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი; 14. პატარა სასეირნო გემი; 17. ჩქარტემპიანი ამერიკული ცეკვა; 18. ოქტომბრის თვის ქართული სახელწოდება; 19. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 20. რეგიონი კახეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „ალია"; 2. აკაბა; 3. აგავა; 5. ნილოსი; 6. კრეისერი; 9. ესკადრილია; 10. ვანდალები; 11. ჯვრისწერა; 14. უთო; 16. ბაწარა; 18. ყოჩი.

**თარაზულად:** 1. აკვანი; 4. დინამიკა; 7. ლატვია; 8. „ვანდომი"; 12. „შკოდა"; 13. კუმისი; 15. „იდიოტი"; 17. ნიუ; 19. ელექტრონიკა; 20. ვახტი; 21. ვინიცა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კოპი; 2. აქცია; 3. იჯარა; 4. „სქური"; 5. ოლდემი; 6. ზაკოპანე; 8. ტაიკონავტი; 10. გინეკოლოგი; 11. მარგალიტი; 14. შაგალი; 15. გერანი; 16. სამბა.

**თარაზულად:** 1. კობალტი; 4. სქოლიოზი; 7. პლაცი; 9. განგი; 12. „მინდია"; 13. ჰილეა; 14. შანიძე; 17. ბახალა; 18. პროკლამაცია; 19. ხითხითი; 20. ღალატი.

# მერკელი: „უკრაინა ასოცირებისთვის მზად არ არის“

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთს აფრთხილებს, თავი შეიკავოს საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვაზე ზეწოლისგან. მისივე თქმით, ამ სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, რამდენად მჭიდროდ უნდათ ევროკავშირთან დაახლოება.

„სახელმწიფოებმა თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი განვითარების მომავალ მიმართულებაზე. მესამე პირებს ამაზე ვეტოს უფლება არ აქვთ“, – განაცხადა გერმანიის კანცლერმა.

მისივე თქმით, აღმოსავლეთ პარტნიორიობის ქვეყნები მოსკოვის მხრიდან ზეწოლის გამო ევროკავშირთან დაახლოების საკითხში სირთულეებს აწყდებიან.

„ვილნიუსის სამიტზე გამოვალ მოწოდებით, რომ ევროკავშირი წინ აღუდგეს ამ ზეწოლას, კონკრეტული შანსებითა და სოლიდარობით.; იქნება ეს პროდუქციის ევროპულ ბაზარზე გატანა, რომელიც რუსულ ბაზარზე აკრძალულია, თუ ენერგომომარაგების სისტემის შემუშავებაში დახმარება“, – აღნიშნა ანგელა მერკელმა.

როგორც გერმანიის კანცელერმა ანგელა მერკელმა აღნიშნა, ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაარწმუნა რუსეთის პრეზიდენტი, რომ ევროკავშირთან მოლდოვის, უკრაინისა და საქართველოს ძლიერი კონტაქტები რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

ინფორმაციას ანგელა მერკელის ბუნდესტაგში გამოსვლის შესახებ გერმანული მედია ავრცელებს.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ასევე განაცხადა, რომ მისი აზრით, უკრაინა არ არის მზად მოაწეროს ხელი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ხელშეკურლებას. მისი თქმით, უკრაინა არაა მზად შეასრულოს ევროკავშირის მიერ წამოყენებული ყველა მოთხოვნა.



„დღეს უნდა გითხრათ, რომ ჯერ-ჯერობით არ ჩანს უკრაინის მზადყოფნა, შექმნას ხელმოწერისთვის საჭირო წინაპირობები“, – განაცხადა მერკელმა. მისივე თქმით, უკრაინის საკითხზე, ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები განხილვას ხვალ გააგრძელებენ.

შეგახსენებთ, რომ ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა დღევანდელ სხდომაზე ვერ შეძლეს უკრაინის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება. მათი თქმით, გადაწყვეტილების მიღება შესაძლოა ვილნიუსის სამიტზეც მოხდეს. მანამდე კი, ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, უკრაინამ ევროკავშირის ყველა პირობა უნდა შეასრულოს.

უკრაინის პარლამენტის საპარლამენტო ჯგუფი უმაღლესი რადასათვის ხელისუფლებისა და ოპოზიციისათვის მისაღებ კანონპროექტზე მუშაობას განაგრძობს, რომელიც ყოფილ პრემიერ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრებას შეეხება.

ცოტა ხნის წინ სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა ოპოზიციის მიერ წარმოადგენლი კანონპროექტის მხოლოდ ნაწილი შეათანხმა. დეპუტატები არ გამორიცხავენ, რომ თუ ამ საკითხთან დაკავშირებით კომპრომისს უახლოეს დღეების განმავლობაში მიაღწიეს, მაშინ ტიმოშენკოს მკურნალობის შესახებ კანონი უმაღლეს რადაში ხმის მისაცემად ხუთშაბათს გავა.

როგორც ცნობილია, ევროკავშირი მოითხოვს, რომ უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერამდე ყოფილი პრემიერის საკითხი გადაწყდეს. ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე იგეგმება, რომელიც 28-29 ნოემბერს ვილნიუსში იმართება.

ამ ფონზე, აშშ-ს სენატმა მიიღო რეზოლუცია რომელშიც არის მოწოდება ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს გათავისუფლების შესახებ. ამასთან ერთად, რეზოლუცი ასევე მოუწოდებს ევროკავშირის ქვეყნებს ტიმოშენკოს გათავისუფლების საკითხი ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერისათვის საჭირო მნიშვნელოვან კრიტერიუმებში ჩართოს.

დოკუმენტმა ორპარტიული მხარდაჭერა მიიღო.

„დადგენილებით მოეწოდოს უკრაინის ხელისუფლებას გაათავისუფლოს ექს-პრემიერი იულია ტიმოშენკო ასევე მოეწოდოს ევროკავშირის ქვეყნებს ჩართოს ტიმოშენკოს გათავისუფლების საკითხი როგორც მნიშვნელოვანი კრიტერიუმი უკრაინასთან ასოციაციის შეთანხმების შესახებ ხელმოსაწერად“, – ნათქვამია რეზოლუციაში.

## ირანი დასავლეთს ზედმეტი მოთხოვნების წამოყენებისაგან თავის შეკავებას ურჩევს

ირანის პრეზიდენტმა ჰასან როჰანიმ ბირთვული მოლაპარაკებების წინ დასავლეთი გააფრთხილა, რომ არ ეცადონ ირანისათვის ზედმეტი მოთხოვნების წამოყენება. ქვეყნის მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე პრეზიდენტის სიტყვებია მოყვანილი, რომელიც მის რუს კოლეგა ვლადიმერ პუტინს უთხრა-როუჰანის თქმით, მსგავსი მოთხოვნები შეთანხმების მიღწევას მხოლოდ გაართულებს.

შეგახსენებთ, რომ ირანი და ე.წ „ექვსეული“(გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებს ოთხშაბათს ჟენევაში განაახლებენ. „ბი-ბი-სის“ ცნობით, ირანის მთავარმა დიპლომატმა ჯავად ზარიფმა აღნიშნა, რომ აქამდე გამართულ ბირთვული მოლაპარაკებების წარუმატებლობაში დამნაშავე დასავლეთის ქვეყნები არიან.



შეგახსენებთ, დასავლეთი შიშობს რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობა, ირანი აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს. ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როჰანიმაც უკვე რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ირანის მიზანს ბირთვული იარაღის შექმნა არ წარმოადგენს.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აცხადებს, რომ ათწლეულების მანძილზე პირველად „რეალური შანსი“ გაჩნდა ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად.

კრემლის განცხადებით, პრეზიდენტი პუტინი ირანის პრეზიდენტ ჰასან როჰანის ტელეფონით ესაუბრა.

## ალიევმა და სარგსიანმა შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი არ გააკეთეს

ვენაში აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტების შეხვედრა დასრულდა. ილჰამ ალიევმა და სერჟ სარგსიანმა კობურგების სასახლე ისე დატოვეს, რომ პრესასთან არავითარი კომენტარი არ გაუკეთებიათ.

რუსული მედიის ინფორმაციით, ერთ ერთი ქვეყნის დელეგაციაში არსებულმა წყარომ მათ აცნობა, რომ შეხვედრის შედეგებზე ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების განცხადების გაკეთება იგეგმება.

ეს პირველი შეხვედრა იყო ორი სახელმწიფოს მეთაურის, რომელიც ორწლიანი შესვენების შემდეგ გაიმართა.

შეხვედრის მთავარი თემა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარება იყო.

აშშ-ს სახელმიწფო მდივანი ჯონ ქერი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს და სომხეთის პრეზიდენტს სერჟ სარგსიანს მთიანი ყარაბახის კონფლიქტის დარეგულირების საკითხთან დაკავშირებით ტელეფონით ესაუბრა.

„ბოლო 48 საათის განმავლობაში ტელეფონით ვესაუბრე პრეზიდენტ ალიევს და პრეზიდენტ სარგსიანს. ისინი უახლოეს დროში ხვდებიან ერთმანეთს, მხარეებს მოვუწოდეთ წინ წავიდნენ. ამ საკითხს მომავალშიც მივაქცევთ ყურადღებას“, – განაცხადა ქერიმ, იუწყება აშშ-ს სახლემწიფო დეპარტამენტის პრესსამსახური.



გუშინვე სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ედვარდ ნალბანდიანი რუსეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელს სერგეი ლავროვს შეხვდა.

რუსეთს იმედი აქვს, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით პირდაპირი კონტაქტები აღდგება და კონფლიქტის დარეგულირებისათვის რუსეთი ყველა ღონეს იხმარს-აღნიშნულის შესახებ განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სომეხ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

„იმედი გვაქვს, რომ უახლოეს პერიოდში სომხეთისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას შორის პირდაპირი კონტაქტები აღსდგება და როგორც ადრე ვთქვი ამისათვის ყველაფერში დავეხმარებით“,-აღნიშნა ლავროვმა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## თამაშები სოციალურ იზოლაციასა და ფსიქიკის პრობლემებს არ იწვევს

ვიდეოთამაშებს განწყობის გაუმჯობესება, სტრესის შემცირება და ახალგაზრდების თვითშეფასების ამაღლება შეუძლია, ამბობენ კვინსლენდის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის თანამშრომლები. მათი თქმით, თუ ახალგაზრდა ოჯახთან ერთად თამაშობს, მშობლებისა და შვილების მჭიდრო კავშირი გარანტიებულია, წერს „ზიი ნიუსი“.

დოქტორმა დენიელ ჯონსონმა, კოლეგებთან ერთად 200 სტატია და ანგარიში გაანალიზა რათა გაეგო, რა გავლენას ახდენს ვიდეოთამაში ახალგაზრდების კეთილდღეობაზე. აღმოჩნდა, რომ თამაშის ტიპს მნიშვნელობა არ აქვს. ის არის მნიშვნელოვანი, ადამიანი ვისთან თამაშობს. კერძოდ, თანამედროვე თამაშები ზრდის ტვინის აქტივობას, სოციალურ კეთილდღეობის მაჩვენებელს აუმჯობესებს და სხვებთან კავშირურთიერთობას აძლიერებს.

ამიტომ, მოზარდთან დაახლოების საუკეთესო ხერხი – მასთან ერთად თამაშის დაწყებაა. მაგრამ ზედმეტად ხშირი თამაშები, ფსიქიკაზე ნეგატიურად აისახება. ვითარდება შფოთიანობა და უძილობა. თუკი ზომიერად ვითამაშებთ, ადამიანის ემოციური რეგულაცია, ემოციური სტაბილურობა უმჯობესდება. ეს მოდუნებისა და სოციალიზაციის სავსებით ჯანმრთელი და სწორი მეთოდია.

## „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ნუკრი ბერეთელის სადებიუტო კრებულის წარდგინება გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში ნუკრი ბერეთელის პოეტური კრებულის – „ჩიხი“ – წარდგინება გაიმართა. როგორც „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ განაცხადა, ეს ბერეთელის პირველი წიგნია.

ნუკრი ბერეთელის შემოქმედების დასახასიათებლად როსტომ ჩხეიძემ ტარიელ ხარხელაურის წინასიტყვაობა მოიხმო, სადაც ნათქვამია, რომ ნუკრი ბერეთელის სისხლის ყოველი წვეთი პოეზიითაა გაჯერებული. ტარიელ ხარხელაურის შეფასებითვე, ნუკრი ბერეთელის წიგნში სევდიანი და ლამაზი სამყაროა ასახული.

„ნუკრი ბერეთელი სულით პოეტია და მისთვის პოეზია ბედისწერაა. „ჩიხი“ სიხალისისა და დრამატიზმის გადაკვეთაზეა შექმნილი წიგნია. მისთვისაც სოფელი არის წუთისოფელი. იგი ცდილობს, გადაარჩინოს ყველაფერი ის, რაც ამ წუთისოფელში ყველაზე ძვირფასია. სადებიუტო კრებულს „ჩიხი“ ჰქვია, მაგრამ ჩიხში კი არ დგას პოეტი, არამედ მისი გარღვევის მძაფრი ჟინითაა შეპყრობილი“, – აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

როგორც მომხსენებელმა ნინო სადღობელაშვილმა განაცხადა, ნუკრი ბერეთელის, როგორც ნამდვილი პოეტისთვის, ცხოვრება ადვილი არ არის. ეს კი მის პოეზიაში აისახება.

„ნუკრი ბერეთელის შემოქმედებაში ყველაფერი თითქოს ერთი ბგერით იწყება. იგი პოეზიას დიდი პატივით ეპყრობა, თითქოს ძვირფას საუნჯეს ქედს უხრიდეს. სწორედ ამიტომაც წიგნის გამოცემა არ იჩქარა, საკუთარი შემოქმედება დაალვინა და პირველი კრებულიც ასე გამოსცა მაშინ, როცა მის წინაშე კარგი და ცუდი წიგნები პანტაპუნტით იბეჭდება“, – აღნიშნა ნინო სადღობელაშვილმა.

მისივე თქმით, ავტორის პოეზიაში პირობითია სოფლის თემა, რომელიც დაკარგული სამოთხის ელფერს იძენს. თითოეული ლექსი სოფლის, დედის, წინაპრების მოგონებებით გამოწვეული ტკივილია, რომელიც მთელი საქართველოს ტკივილად განზოგადდება.

პოეტ ნინო ქუთათელაძის მოსაზრებით, მას ყოველთვის ეგონა, რომ პოეტების ორი ტიპი არსებობს: ერთნი ცხოვრებას ნერვიულად აღიქვამენ, პოეზიაში კი მშვიდად არიან, მეორენი კი, პირიქით, მშვიდნი არიან, პოეზიაში კი მათი „დაჭიმული ნერვების დაწყვეტის ხმა“ ისმის. ნუკრი ბერეთელი მეორე კატეგორიას მიეკუთვნება.

„ნუკრი ბერეთელი პოეტია და მას არც ეპითეტები და არც რეგალიები არ სჭირდება. პოეზიაში სოფლის თემა არ მოძველებულა და არც მოძველდება. მთავარია, სათქმელს ახალი, შენეული ფორმა მოუძებნო, დამაჯერებლად მოგვითხრო. მთავარია, სოფელზე წერა პროვინციალიზმში არ გადაიზარდოს. ნუკრის სოფელში პასტორალური სიმშვიდე არ იგრძნობა. იქ, სადაც საკუთარ თავთან შინაგანი ბრძოლაა, სიმშვიდე ვერც იქნება“, – აღნიშნა ნინო ქუთათელაძემ.

მისივე შეფასებით, ნუკრი ბერეთელი სიყვარულზეც ტკივილით წერს, მაგრამ ის მაინც ფერადოვანი და სახეებით მდიდარია.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ: იოსებ ჭუმბურიძე, ნანა კუცია, თამარელა წოწორია, რობერტ მესხი, სევარიონ ნადირაძე, ნინო ვახანია, თემურ ნადარეიშვილი.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები

გაზეთი „ახალი თაობა“ სამძიმარს უცხადებს ირინა ბალავაძეს **დედის** გარდაცვალების გამო.

ამირან ციცქიშვილი და მისი შვილები – სოსო, ნატო და ნინო ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან მიხეილ ფოცხვერიას დედის

**ნათელა ფოცხვერიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

ოთხშაბათი 20 ნოემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ნავთობის პრინცი**" 17.00 ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 22.30 ტ/სერ. "**მაფიოზი**" 23.30 მხ/ფ "**ნიკიტა**" 01.30 მხ/ფ "**ჰაროლდი და კუმარი**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 14.00, 16.00 ტ/სერ. "**დეტექტივი**" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

06.45 სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა 10.05 სერ. "**ცივი გული**" 11.20, 12.05 სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ 16.03 სერ. "**დაბრუნება**" 17.50, 19.03 სერ. "**უდანაშაულო**" 20.50 სერ. "**სილა**" 21.50 თოქ შოუ: ეკა ხოფერია (პ/ე) 00.00 მხ/ფ "**ბრიუგეში ჩარჩენილი**" (რ.ფაინსი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. "**ერთგულების ძალა**" 11.00 სერ."**ბრაზილიის გამზირი**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" 17.00 სერ. "**ნათია და ნათია**". 18.50, 19.50 სერ."**ტიტების დრო**" 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 სერ. "**ექიმი ჰაუსი**". 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი 03.30 მხ/ფ (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 06.40 მხ/ფ "**საბრალონი**" I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ქრისტიანული ხელოვნება 10.10 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ/ფ "**პეიტარი**" 13.25 ქართული მულტფილმი 13.35 დოკ/ფ "კინო და წლები" III ნაწ. 14.45 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმარი 15.35 დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" 16.00 კონცერტი -ანდრე რიე 16.55 კვირიაკე 18.10 აქტუალური თემა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**გლახის ნაამბობი**" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ქართული სამკაულის ოსტატები" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ "**საბრალონი**" II ნაწ.

მაესტრო 7.00, 0.45, 2.30, 5.15 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.40 მულტფილმი სონიკ- ხ 7.55, 8.10, 9.15 მაღვიძარა 8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 12.50 თოქ-შოუ "არგუმენტები" (გამ) 14.30 გადაცემა "პულსი" (გამ.) 17.45, 21.30, 0.30, 5.00 "ყოველდღიური აბები" (გამ.). 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). 19.00 **სერიალი "ასი"**. 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. 23.00, 3.15 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6757 |
| ევრო | — 2,2642 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6997 |
| 100 რუსული რუბლი | — 5,1456 |

## ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისთვის




# ლაშა ბუღაძე: „ეს ხომ საქართველოა!“

*ეკა ირემაშვილი*



მწერალი და დრამატურგი ლაშა ბუღაძე რადიო „თავისუფლების“ ვებგვერდზე ახალ რეცენზიას აქვეყნებს, რომელიც საქართველოში გამართულ ახალი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციას ეძღვნება. მას „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„ნორმალურია, როცა გპატიჟებენ და მიდიხარ.

საშინელებაა, როცა არ გპატიჟებენ და მაინც მიდიხარ.

შესანიშნავია, როცა გპატიჟებენ და არ მიდიხარ.

ეს სერგეი დოვლათოვის სიტყვებია, ჩემი არ გეგონოთ, თუმცა ძალიან უხდება დღევანდელ რეალობას – პრეზიდენტის ინაუგურაციაზე წასვლა-არწასვლის საოცრად სასიამოვნო დილემას.

მესამე ვერსია ყველაზე მიმზიდველია: სადღაც გელიან, შენ კი მოუცლელობის გამო არ მიდიხარ, მაღლა დგები ამ ყველაფერზე.

როგორ მინდოდა, სკოლაში სწავლის დროს გამომეყენებინა ეს შესაძლებლობა, მაგრამ არც ერთხელ არ მეყო გამბედაობა. წარმოიდგინეთ, გპატიჟებენ დაბადების დღეზე, ვინც მოგწონს, იქაა, მაგრამ შენ არ მიდიხარ და ძალიან ბევრს ამბობ ამ „არმისვლით“ ან, ყოველ შემთხვევაში, გინდა რომ ამბობდე.

სოციალურ გვერდებზე უკვე ბევრმა გამოდო თავისი მოწვევა: „დამპატიჟეს და არ მივდივარ“.

ჰო, ეს ძალიან სასიამოვნოა, რად უნდა ამას თქმა...

„არწასვლის“ შეტყობინება გამოდო მოქმედმა პრეზიდენტმაც, მაგრამ ეს უფრო კონკრეტული, „დაბადების დღეზე არმიმსვლელი“ ადამიანის არწასვლის ამბავი იყო, ვიდრე პრეზიდენტის, რადგან პრეზიდენტი, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა წასულიყო.

არწასვლის ერთ-ერთი მიზეზი, არ დავმალავ, ჩემთვისაც გასაგებია: არ მესმის, რატომ უნდა იჯდეს ციხეში ყოფილი პრემიერ-მინისტრი, როცა არსად გაქცევას არ აპირებს, არ ემალება სასამართლოს და ამასთან ერთად დამატებითი საბაბიც ეძლევათ სკეპტიკოსებს, რომ ეჭვის თვალით უყურონ ქართულ დემოკრატიას.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუკი სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე გვაქვს პრეტენზია, ვფიქრობ, უნდა ავცდეთ მიმდინარე პოლიტიკურ კონტექსტს და შევქმნათ პირველი ისტორიული პრეცედენტი საქართველოში – ძველი პრეზიდენტები ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას უნდა დაესწრონ.

ეს ხომ მართლაც პირველად ხდება, როცა პრეზიდენტი თავისი ვადის ამოწურვამდე დარჩა თანამდებობაზე. როგორ და რა ტანჯვით, სხვა საკითხია, მაგრამ ხომ ფაქტია! ვიცი (ანკი რა ცოდნა ამას უნდა), ბოლმები ვართ, ვერ ვიტანთ ერთმანეთს, საკუთარი თავები მიგვაჩნია ყველაზე ჭკვიანებად და სამართლიანებად, ნერვები გვეშლება, როცა არა ჩვენ, არამედ სხვა ხვდება ყურადღების ცენტრში, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ქვეყნისთვის იქნებოდა კარგი, „სოციალური რასიზმი“ დაგვეძლია და პრეზიდენტები ერთმანეთის გვერდით დამდგარიყვნენ. ეს ხომ სიმბოლური, მაგრამ ჩვენი ისტორიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აქტი იქნებოდა.

არავის სჭირდება მიხეილ სააკაშვილის მისვლა გიორგი მარგველაშვილის დაბადების დღეზე, ეს ძველი პრეზიდენტი უნდა მიდიოდეს საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ არჩეული ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე. რა მნიშვნელობა აქვს სახელ-გვარებს და კონტექსტებს!

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ არ მესმის, რატომ არ შედის ახალი პრეზიდენტი საქართველოს პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში? რას ნიშნავს „ქონება ხალხს უბრუნდება“? ვინაა „ხალხი“? როგორ უბრუნდება? ან რატომ არის „ხალხის“ რომელიღაც უნივერსიტეტი და არ არის მისივე არჩეული პრეზიდენტის რეზიდენცია? და თუკი ზედმეტად დიდია, რატომ არ შეიძლება დამატებითი ფუნქციით შევსება? რაკი წინა პრეზიდენტის სადგომი იყო, ამიტომ გვეთაკილება? რა, კედლებია შებილწული თუ უცენზურო წარწერები დატოვა ფანჯრის მინებზე? თუ ასეა, მაშინ რატომ არის ნაკლებად სათაკილო პრემიერისთვის და პრეზიდენტისთვის კომუნისტური ცეკას მდივნების შენობაში მუშაობა და არა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში? ხუთი წლის მერე რაღა ვქნათ? იქნებ აღარც შემდეგმა პრეზიდენტმა მოინდომოს წინამორბედის რეზიდენციაში შესვლა (და ვინ დადებს თავს, რომ არ მოინდომებს)? როგორ მოვიქცეთ, ყველა ქუჩაზე ახალ-ახალი რეზიდენციები ვაშენოთ „ხალხის“ ფულით?

არ შეიძლება, ხუთი წლით, ან თუნდაც 17 ნოემბერს, დავივიწყოთ ჩვენი სახელ-გვარები და ერთი დღით მაინც ვიცხოვროთ „სახელმწიფო ინსტიტუტების“ ცხოვრებით?

არა, ალბათ, არ შეიძლება.

ეს ხომ საქართველოა...“ – წერს ლაშა ბუღაძე.

მწერალი არასრულწლოვანთა №11 სპეციალიზებულ დაწესებულებაშიც იმყოფებოდა. ის ახალგაზრდებს ევროპელ და ქართველ მწერლებზე ესაუბრა. როგორც სასჯელაღსრულების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, სტუმრის თქმით, დეკემბერში, შესაძლოა, მისი ახალი წიგნის პრეზენტაცია სწორედ №11 დაწესებულებაში გაიმართოს. ლაშა ბუღაძე მოზარდებს დაჰპირდა, რომ დაწესებულებას მისი პირადი ბიბლიოთეკიდან საჩუქრად მხატვრულ ლიტერატურას გადასცემს. მწერალმა ისიც განაცხადა, რომ ის ამ დაწესებულებაში რამდენიმე წლის წინაც იმყოფებოდა და მას შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ლაშა ბუღაძე შემოქმედებითი კუთხით საკმაოდ აქტიურ ფაზაშია. მისი პიესები იდგმება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება, რომელსაც მწერალმა მიაღწია, ლონდონში მისი პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ გამარჯვებაა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტის, ქართული დრამატურგიის ხელშეწყობის ფარგლებში, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, დრამატურგი ლაშა ბუღაძე საკუთარი პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ სპექტაკლის პრემიერაზე ლონდონის „როიალ ქორთ თეატრში“ ჩავიდა. ქართველი დრამატურგის ბრიტანულ პრემიერას, ვიზიტის ფარგლებში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც დაესწრო. ლონდონის „როიალ ქორთ თეატრში“ ფესტივალი „ღია კარი“ ჩატარდა. ამ პროექტს ექსპერიმენტული ხასიათი აქვს, პიესები ერთ კვირაში იდგმება და სპექტაკლებიც ერთ კვირას გრძელდება. ფესტივალი ლაშა ბუღაძის აბსურდული კომედიით „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა“ გაიხსნა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი ერთ კვირაში დაიდგა, ის სრული ანშლაგებით მიმდინარეობდა.

## ყველამ გაითვალისწინეთ! ასტროპროგნოზი 20 ნოემბრისთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი, მოემზადეთ. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **ტყუპები** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გექნებათ. **ქალწული** – დღეს წარმატებას ადვილად მიაღწევთ, ყველა თქვენ შემოგნატრით. **სასწორი** – თავს მიხედეთ, სწორად იკვებეთ. **მორიელი** – ფულს შოულობთ, ვალი არ დაგაწვებათ. **მშვილდოსანი** – მოერიდეთ ჩხუბსა და სკანდალს, თქვენთვის იყავით. **თხის რქა** – დღეს კარგ დროს გაატარებთ, საღამოს ახალ ამბავსაც გაიგებთ. **მერწყული** – ამ დღეს დიდი ხანია ელოდით, გახარებული ხართ. **თევზები** – ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, ისინი არ გიღალატებენ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ღვინის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა აშშ-ში; 2. პოლიციელის ჩინი საფრანგეთში; 3. გერმანელი მრეწველი, ოპტიკური მინების წარმოების ფუძემდებელი; 5. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 6. იარაღის საწყობის, არსენალის ძველებური სახელწოდება; 9. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ჭიდაობაში; 10. აეროპორტი რომში; 11. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა; 14. ჯარის ძველებური სახელწოდება საქართველოში; 16. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 18. კანადელ ესკიმოსთა ყინულის ქოხი.

**თარაზულად:** 1. ნიადაგის დასამუშავებელი აგრეგატი; 4. ამერიკელი კომპოზიტორის იგორ სტრავინსკის ბალეტი; 4. ცნობილი ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 8. კუთხე საქართველოში; 12. ზღვის დიდი კიბორჩხალა; 13. ყაზახეთის დედაქალაქი; 15. ფულის გამოშვება; 17. კედელზე საკიდი ელექტრონათურა; 19. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ჩანაწერი; 20. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 21. ძმარში ჩადებული, შეკმაზული, მოხარშული ღორის ფეხებისგან მომზადებული საჭმელი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*



# ირაკლი ჩარკვიანი 52 წლის გახდებოდა

*ეკა ირემაშვილი*



19 ნოემბერი ქართველი მეფის ირაკლი ჩარკვიანის დაბადების დღეა. მას 52 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღს მისი მეგობრები და ახლობლები ყოველთვის დიდი სიყვარულით აღნიშნავენ. არანაკლები სითბოთი აღინიშნება ირაკლი ჩარკვიანის გარდაცვალების დღე – 24 თებერვალიც. ეს დღე მეფის თანამოაზრეებმა ცოცხალი მუსიკის დღედ გამოაცხადეს.

ირაკლი ჩარკვიანი არა მარტო მუსიკოსი, არამედ პოეტი და მწერალიც იყო. მან ფსევდონიმი „მეფე“ თავად დაირქვა და შემდგომშიც თავად გააჟღერა ფრაზა „ძირს მეფე!“

მისი მუსიკალური მოღვაწეობა დაიწყო ჯგუფ „არიშთან“ ერთად. მუსიკოსის შემდეგი ჯგუფი იყო ნაკლებად ცნობილი, ეს იყო ინდი ჟანრის კოლექტივი „ტაქსი“, რომელშიც ასევე უკრავდნენ დადა დადიანი, ბიჭიკო ოსიპოვი და კახა კიკაბიძე. ალბომ „ტაქსის“ გამოცემის შემდეგ მსმენელებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მათი მუსიკის მიმართ. „ტაქსის“ წარმატების პიკად მიჩნეულია 90-იანი წლების დასაწყისი. ამ პერიოდში ჩატარებული ყველაზე ცნობილი კონცერტებიდან დასამახსოვრებელი აღმოჩნდა თბილისის ფილარმონიასა და ქუთაისში ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში გამართული კონცერტები.

ირაკლი ჩარკვიანის მონაწილეობით განხორციელდა პროექტები: ალტერნატიული ჯგუფი, საბავშვო მედიცინა, დაირა. ეს იყო პროექტი, რომელიც ლივერპულში მოქმედებდა და რომელშიც მონაწილეობდნენ ირაკლი და დადა დადიანი. მეფის პირველი სოლო-გამოჩენის მაუწყებელი იყო სიმღერა „ვორ იზ ოვერ“. მისი პირველი სოლო-დისკი „სვან სონგს“ ჩაიწერა და გამოიცა გერმანიაში. ეს მნიშვნელოვანი სოლო-დებიუტი იყო და დღემდე ითვლება 90-იანებში ჩაწერილი ქართულენოვანი ალტერნატიული დისკების ერთ-ერთ მთავარ ნიმუშად. მისი მეორე სტუდიური ალბომი „აფრენ“ ნამდვილი გადატრიალება აღმოჩნდა ქართულ ხელოვნებაში. არანაკლები პოპულარობა მოიპოვა მისმა სიმღერებმა „საქართველო“, „უსაფრთხოება“. მესამე ალბომი იყო „ამო“, რომელიც მსმენელისთვის ცნობილია სიმღერებით „სექსი“ და „ორღანი 78“. ალბომ „სავსეს“ გამოცემა დაემთხვა მუსიკოსის შემოქმედების თაყვანისმცემელთა ახალი ტალღის გამოჩენას. ამ დისკიდან ყველა-


გაგრძელება მე-10 გვერდზე


# ექიმები გვაფრთხილებენ, რომ სამედიცინო კოლაფსი უახლოეს დროში მოხდება



წამლების მოქმედებისადმი მდგრადი სუპერბაქტერიების აქტივიზაცია, რიგით ოპერაციებს სასიკვდილოდ სახიფათოს გახდის. და ეს უკვე რამდენიმე წლის შემდეგ შეიძლება მოხდეს, წერს „დეილი მეილი“. თუკი ზომები არ იქნება მიღებული, მედიცინა მე-19 საუკუნის დონეს გაუტოლდება.

ექსპერტები მოუწოდებენ, რომ ყველაფერი შესაძლებელი გაკეთდეს, რათა უკვე არსებული ანტიბიოტიკების სიცოცხლისუნარიანობა შენარჩუნდეს და ახალი პრეპარატები შეიქმნას. მაგრამ ყველა ძალისხმევა უშედეგოა, თუ ანტიობიოტიკებს გამოყენება გაგრძელდება სოფლის მეურნეობაში და ზოგიერთ ქვეყანაში თავისუფლად გაყიდიან. ამასთან, 1987 წლიდან მსოფლიოში არც ერთი ახალი ანტიბიოტიკი არ შექმნილა. ხოლო ახალი ინფექციები, ლამის ყოველ წელს თავს გვახსენებენ.

უპსალის უნივერსიტეტის პროფესორი, ოკო კარსი აღნიშნავს: „წამლებისადმი მდგრადობით გამოწვეული სამედიცინო კრიზისი, ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა რყევებს ხელს უწყობს“.

ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ, ექიმებს ანტიბიოტიკების დანიშვნის შემცირებისკენ მოუწოდა, – წერს „ნიუსრუ“.

*გ. მ.*

# ანი აფრასიძემ ევროპის თასი მოიგო



ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართა ევროპის თასი ფარიკაობაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. 15-წლამდე გოგონათა შორის პირველი ადგილი არავის დაუთმო ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ, 14 წლის ანი აფრასიძემ (მწვრთნელი ქეთევან ერემეიშვილი) და ოქროს მედალი დაისაკუთრა.

სულ ტურნირში მასპინძელთა გარდა საქართველოს, რუმინეთის, უნგრეთის, ისლანდიის, ჰოლანდიის, თურქეთის, საბერძნეთისა და მოლდოვას წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

აფრასიძემ პირველ წრეში მასპინძელ სპორტსმენს სძლია, შემდეგ უნგრელიც იოლად ჩამოიშორა, ფინალში გასასვლელი ბრძოლა რუმინელს მოუგო და პირველი ადგილისთვისთვის ბრძოლაშიც რუმინელ გოგონას შეხვდა, რომელთანაც 4:8-ს კი აგებდა, მაგრამ საბოლოოდ, 15:13 იმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირზე მყოფი კიდევ 11 ქართველი სპორტსმენისგან მედლებს სხვა ვერავინ შესწვდა, თუმცა უნდა გამოვყოთ ქრისტინე ნოზაძის მე-8 და მარიამ აფციაურის მე-9 ადგილები. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 14 წლის ნიკა შენგელია, რომელმაც 18-წლამდე ასაკის მოფარიკავეთა შორის მერვედფინალში გასვლა მოახერხა, შემდეგ კი თურქ სპორტსმენთან, მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა.

რაც შეეხება გუნდურ პირველობას, აქ ვაჟებმა მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში უნგრელებთან 44:45 წააგეს, ხოლო გოგონებმა მე-5 ადგილი დაიკავეს.

*მ. ყ.*


ლურჯი წითელი ყვითელი შავი